გაზეთი ბევრია, „ვერსია" ერთი

ვერსია

ფასი 50 თეთრი

№50 (1076) 8 - 10 მაისი, 2015 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

ვახტანგ გომელაურმა შს სამინისტროს სისტემის გაყოფის შესახებ ისაუბრა

გვ. 2

მამუკა არეშიძემ გარდაბნის საკრებულო დატოვა!

რატომ თქვა უარი დეპუტატის მანდატზე და რას აპროტესტებს ექსპერტი კავკასიის საკითხებში

გვ. 3

რას უნდა ველოდეთ რიგის სამიტისგან

გვ. 3

გვექნება თუ არა ევროპაში უვიზო მიმოსვლის უფლება

გვ. 8

რა უნდა იცოდნენ სამკურნალოდ საზღვარგარეთ წასვლის მსურველებმა

ირაკლი ღარიბაშვილის მოხსენება პარლამენტში

გვ. 6–7

საკანონმდებლო ორგანოში მთავრობის დამტკიცების პროცედურა დაიწყო

ფოტოგრაფთა ასოციაცია კულტურის სამინისტროს წინააღმდეგ

რატომ არ დააფინანსა მიხეილ გიორგაძის უწყებამ ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესი პროექტი

გვ. 9

პიროკაზუ მორი: „სასიამოვნოდ გაოცებული ვარ პროექტით!"

გვ. 2

„პანორამა თბილისის" მშენებლობა მალე დაიწყება

ექსკლუზიური ინტერვიუ ფრონტის ხაზიდან

გვ. 4

სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსა და ლიბერთი ბანკს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა

გვ. 5

ლიბერთი ბანკი LIBERTY BANK

რხუბი ციხის აბანოში და „საქათმისთვის" განწირული პატიმარი

როგორ ამოიცნო დათომ დის გამაუპატიურებელი სვირინგით



გვ. 10

ჰირროკაზუ მორი: „სასიამოვნოდ გაოცებული ვარ პროექტით!“

„პანორამა თბილისის“ მშენებლობა მაღე დაიწყება

ლაშა დვალი

სხვისი არ ვიცით, მაგრამ თამამად შეიძლება „პანორამა თბილისი“ საუკუნის პროექტად მოინათლოს. პროექტი, რომლის განხორციელება უახლოესი სამი წლის განმავლობაში იგეგმება, საერთო ჯამში მილიარდ ლარზე მეტი ღირებულების იქნება. რაც მთავარია, ამ ინვესტიციას არა სახელმწიფო, არამედ ბიძინა ივანიშვილის მიერ შექმნილი თანაინვესიტრების ფონდი გაიღებს. ამის მიუხედავად, ალბათ არცერთ პროექტს არ მოჰყოლია ისეთი ხმაური, როგორიც „პანორამა თბილისს“.

ხმაურის მიზეზი კი, ცოტა არ იყოს, უცნაურია. თურმე, პროექტი, რომელიც მილიარდზე მეტი ღირს, ისტორიული თბილისის ხედს დაამახინჯებს. ამ საკითხით თბილისის საკრებულოში ნაციონალური მოძრაობის ფრთა მანიპულირებს და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად, ნაციონალებმა საპროტესტო აქციაც კი მოაწყვეს. ერთ-ერთი მთავარი თემა, რამაც აქციაზე გაიჟღერა, ის იყო, რომ თურმე ამ მშენებლობის შემდეგ, იუნესკო ძველ თბილისს კულტურული მემკვიდრეობის სტატუსს აღარ მისცემს. არადა, 2001 წელს, იუნესკომ პირდაპირ მიუთითა, რომ ძველ თბილისს იქ არსებული ახალი შენობების გამო, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი არ ეკუთვნის. 2001 წლის შემდეგ კი რამდენი ახალი შენობა აშენდა, კარგად მოგეხსენებათ. რომ არაფერი ვთქვათ რიყეზე აშენებულ თუ დადგმულ ორ დოქსა თუ კოკაზე, რომლებიც ნაციონალურმა მოძრაობამ დიდი ზარ-ზეიმით გახსნა და რომლის ფუნქცია დღემდე არავინ იცის. რაც მთავარია, იმ დოქებში ბიუჯეტიდან ასეულ ათასობით ლარი დაიხარჯა.

ორ მილიონამდე ლარი დახარჯა წინა ხელისუფლებამ იმ ჯოხის დადგმაში, რომელზეც რაღაც იყო დამაგრებული, მერე ეს რაღაც გაფუჭდა და რიყიდან ეს ყველაფერი გაქრა. ამ თემას დღეს აღარავინ ახსენებს და ეს მაშინ, როცა...

„სასიამოვნოდ გაოცებული ვარ პროექტით. ეს ძალიან კარგია, პროექტი და მოხაზულობა სრულად შეესაბამება მდებარეობას და ბუნებრივად ერწყმის გარემოს“, — ეს განცხადება მსოფლიოში აღიარებულმა იაპონელმა არქიტექტორმა, **ჰირროკაზუ მორიმ** გააკეთა.

„ეს არ იქნება მხოლოდ სოლოლაკის ქედის მიმდებარე ტერიტორია. კომპლექსის მშენებლობა ერეკლე მეორეს მოედანზე ქარვასლის რეაბილიტაციას, თავისუფლებაზე ცეკავშირის შენობის ადგილას შვიდვარსკვლავიანი სასტუმროს აშენებას და დასასრულ, სოლოლაკის ქედზე მრავალფუნქციური კომპლექსის აშენებას მოიცავს. სამ წუთში, ეკოლოგიურად სუფთა, საბაგირო გზით, დედაქალაქის მაცხოვრებლები და თბილისის სტუმრები შეძლებენ ხმაურიანი ადგილიდან ნამდვილ ზღაპარში მოხვდნენ. ეს სოციალური პროექტი უფროა და დარწმუნებული ვარ, „პანორამა თბილისი“ იქნება ერთ-ერთი საუკეთესო რამ, რაც ბოლო წლებში საქართველოში გაკეთებულა“, — განაცხადა პროექტის დირექტორმა **ირაკლი ქარსელაძემ.**

„ვერ ვხედავ პროტესტის მიზეზს. ბიუჯეტიდან ფული არ მიდის, საერთო ღირებულება მილიარდ ლარს აჭარბებს. არ მახინჯდება საერთო ხედი, საერთაშორისო ექსპერტებმაც დაადასტურეს, რომ ეს ყველაფერი საუცხოოდ ერწყმის გარემოს. თანაც, მშენებლობაზე ხომ დასაქმდებიან ადამიანები და შემდეგ, როცა კომპლექსი ამუშავდება, მუდმივი სამუშაო ადგილები შეიქმნება ათეულობით თბილისელისთვის“, — განაცხადა „ოლდ სიტი დეველოპმენტის“ დირექტორმა **გიორგი ლილუაშვილმა.**

სხვათა შორის, ნაციონალურმა მოძრაობამ აქცენტი იმაზეც გააკეთა, რომ თურმე „პანორამა თბილისის“ მშენებლობის დროს ენდემური ჯიშის ხეები განადგურდება.

„მთლიანობაში 126 ძირი ხე უნდა მოიჭრას. ამ ხეებიდან არცერთი არ არის ენდემური ჯიშის და არცერთი არ არის წითელ წიგნში შეტანილი. ყველა ხე ე.წ. ელდარის ფიჭვია. რაც შეეხება რეკრეაციულ ზონას, ჩვენი მოთხოვნით რეკრეაციული ზონის სტატუსი მოეხსნა მხოლოდ იმ ადგილს, სადაც შენობა აშენდება“, — ასეთია „პანორამა თბილისის“ ხელმძღვანელთა განცხადება.

„პანორამა თბილისის“ მშენებლობა მალე დაიწყება და... ეჭვი გვაქვს, ტურისტები საქართველოში მის სანახავად ხშირად ჩამოვლენ.

ვახტანგ გომელაურმა შს სამინისტროს სისტემის გაყოფის შესახებ ისაუბრა

შინაგან საქმეთა სამინისტროში პოლიციის საქმიანობის ეფექტურობის გაზრდის მიზნით არაერთი მნიშვნელოვანი რეფორმა განხორციელდა, — განაცხადა შინაგან საქმეთა მინისტრმა, ვახტანგ გომელაურმა იურიდიულ საკითხთა, ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის, თავდაცვისა და უშიშროების, ასევე საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტების გაერთიანებულ სხდომაზე, სადაც მთავრობის განახლებულ შემადგენლობას მოუსმინეს.

მისი თქმით, 2012 წლის ნოემბრიდან შინაგან საქმეთა სამინისტრო ჩამოყალიბდა საზოგადოებაზე ორიენტირებულ უწყებად და მისი ძირითადი მიზანია მოქალაქეთა უფლებებისა და უსაფრთხოების დაცვა.

როგორც ვახტანგ გომელაურმა აღნიშნა, ყურადღება ეთმობა სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობას, არასამთავრობო ორგანიზაციები და ექსპერტები ჩართულები არიან შს სამინისტროს მიერ არაერთი კანონპროექტის და სტრატეგიული დოკუმენტის შემუშავების პროცესში.

შინაგან საქმეთა მინისტრმა ვრცლად ისაუბრა განხორციელებულ სამუშაოებზე, მათ შორის აღნიშნა ის, რომ გასაიდუმლოვდა ცენტრალური კრიმინალური პოლიციის, ანტიკორუფციული სააგენტოსა და გენერალური ინსპექციის დებულებები; გამოქვეყნდა დანაშაულის სტატისტიკა, რომელიც არა მხოლოდ შინაგან საქმეთა სამინისტროს, არამედ ყველა საგამოძიებო უწყების მონაცემებს აერთიანებს; მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებები განხორციელდა ნარკოტიკული დანაშაულის, ოჯახში ძალადობის, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის, სამოქალაქო უსაფრთხოების საკითხების რეგულირების, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უზრუნველყოფის სფეროებში; გამჭვირვალეა დროებითი მოთავსების იზოლატორების საქმიანობა და ა.შ.

„2012 წლის ნოემბრიდან დღემდე იზოლატორებში სახალხო დამცველის წარმომადგენლებისა და უცხოელი უფლებადამცველების 140-ზე მეტი ვიზიტი შედგა და ადამიანის უფლებების დარღვევის არც ერთი ფაქტი არ დაფიქსირებულა“, — განაცხადა გომელაურმა.

მისივე თქმით, სამინისტრო ყურადღებას უთმობს თანამშრომელთა სოციალურ დაცვას: **„სამინისტროს მიერ მომზადდა კანონპროექტი, რომელიც სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას პოლიციელის დაღუპვის შემთხვევაში მისი ოჯახისთვის ერთჯერადად 100 ათასი ლარის ოდენობით და ყოველთვიურად 1000 ლარის ოდენობის კომპენსაციას ითვალისწინებს“.**

მისივე თქმით, წინასაარჩევნო დაპირების შესაბამისად, შინაგან საქმეთა სამინისტროს რეფორმის ფარგლებში, ახლო მომავალში იგეგმება სამინისტროს სისტემის გაყოფა – ცალკე უწყებად დარჩება შინაგან საქმეთა სამინისტრო და შეიქმნება სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური საკუთარი ამოცანებით და სტრუქტურით: **„აღნიშნული წარმოადგენს იმ რეფორმის ლოგიკურ გაგრძელებას, რომელიც შს სამინისტროში დაიწყო 2012 წლიდან“.**

ვახტანგ გომელაურის განმარტებით, პოლიციის ორგანოების ძირითად ფუნქციად დანაშაულის თავიდან აცილება და აღკვეთა დარჩება, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კი — სახელმწიფო უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული საფრთხეების შესახებ ინფორმაციის შეგროვება, დამუშავება, სპეციფიკური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა: **„აღნიშნული ცვლილების შედეგად უზრუნველყოფილი იქნება სისტემის ფარგლებში მოქცეული ჭარბი ძალაუფლების დეკონცენტრაცია, რაც დადებითად აისახება ადამიანის უფლებათა დაცვის ეფექტიანობაზე“.**

მისივე თქმით, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური იქნება მთავრობის უშუალო დაქვემდებარებაში მყოფი აღმასრულებელი ხელისუფლების სპეციალური დანიშნულების დაწესებულება, სამსახურის უფროსის კანდიდატურას პარლამენტს შესთავაზებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი, პარლამენტი კი მას სრული შემადგენლობის უმრავლესობით აირჩევს 6 წლის ვადით. ამასთან, ერთი პირი აღნიშნულ თანამდებობაზე ზედიზედ ორჯერ არ აირჩევა.

„ინტერპრესნიუსი“

ვერსიანიუსი

შსს-მ დეპუტატ ნუგზარ წიკლაურის მძღოლის ცემის ფაქტზე ერთი პირი ამხილა

შსს-ს დიდუბე-ჩუღურეთის სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1983 წელს დაბადებული გიორგი ფ. დეპუტატ ნუგზარ წიკლაურის მძღოლის — მოქალაქე ანზორ პ-ს ცემის ფაქტზე ამხილეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ გიორგი ფ-მ მიმდინარე წლის 4 მაისს დიღმის მასივში ანზორ პ-ს სახის არეში ხელის დარტყმით დაზიანება მიაყენა. გიორგი ფ. აღიარებს ჩადენილ დანაშაულს. ანზორ პ-სთვის ჩატარებული სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის მიღების შემდეგ გიორგი ფ-ს ბრალი წარედგინება.

გამოძიება ცემის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 125-ე მუხლით).

„ვერსიანიუსი“

მამუკა არეშიძემ გარდაბნის საკრებულო დატოვა!

რატომ თქვა უარი დეპუტატის მანდატზე და რას აპროტესტებს ექსპერტი კავკასიის საკითხებში

ნინო კომახიძე
599-95-33-16

ქართულ პოლიტიკურ სივრცეში პრეცედენტი მოხდა — პოლიტოლოგმა და კავკასიის საკითხებში ექსპერტმა მამუკა არეშიძემ გარდაბნის საკრებულო დატოვა! ამის შესახებ „ვერსიამ“ ექსკლუზიურად შეიტყო, თუმცა, როგორც ჩვენთვის ცნობილია, გარდაბნის საკრებულოს არეშიძის განცხადება ჯერჯერობით არ დაუკმაყოფილებია. სხვათა შორის, ეს პირველი შემთხვევაა, საპარლამენტო არჩევნებში ოპოზიციის მიერ წინასწარდადებული მანდატების შემდეგ, როცა საკრებულოს მოქმედმა დეპუტატმა პოსტი თითქმის წელიწადნახევრიანი მუშაობის შემდეგ დატოვა. ინფორმაცია „ვერსიას“ თავად მამუკა არეშიძემაც დაუდასტურა.

იგი საკრებულოში პოლიტიკური გაერთიანების „საქართველოს ძალოვან ვეტერანთა და პატრიოტთა პოლიტიკური მოძრაობა“ სიით იყო შესული და გარდაბანში ამ სიის პირველი ნომერიც გახლდათ. 2014 წლის ადგილობრივ არჩევნებამდე კი არეშიძე 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში კოალიცია „ქართული ოცნებიდან“ კენჭს სწორედ გარდაბნის მაჟორიტარად იყრიდა. თუმცა ნაციონალ თემურ ფეიქრიშვილთან დამარცხდა და ხელისუფლების გასაგონად, ბრიფინგს ბრიფინგზე ატარებდა, სადაც გარდაბანში არსებულ სავალალო ვითარებასა და „ოცნებაში“ ჩანერგილ აგენტებზე ავრცელებდა ინფორმაციას. თუმცა ხელისუფლებამ არათუ მისი მოწოდებები გაიგო, ნაციონალი მაჟორიტარი გუნდშიც კი მიიღო — პარლამენტში შესული ფეიქრიშვილი საპარლამენტო უმცირესობის რიგებს გამოაკლდა და კოალიცია „ოცნების“ წევრი პარტიის, კონსერვატორების რიგებში გადახტა. ხელისუფლებამ კი ფეიქრიშვილი აქეთ დაიცვა. როგორც კონსერვატორების წევრი გიგა ბუკია აცხადებდა, ვისაც ჩვენს დეპუტატთან კითხვები აქვს, შესაბამის ორგანოებს მიმართოსო. ჯერ კიდევ 2012 წლიდან მამუკა არეშიძე თემურ ფეიქრიშვილსა და მის ოჯახს ადგილობრივი მოსახლეობის მიწების მითვისებაშიც ადანაშაულებდა. მთელი ამ ხნის განმავლობაში, არეშიძე ნაციონალებისა და კუდ-ის ყოფილი თანამშრომლების გვარებსაც ასახელებდა და სუს-ის უფროსის, ვანო ბეგაშვილისა და ვაჟა ლელუაშვილის კლანურ მმართველობაზე საუბრობდა გარდაბანში. მოკლედ, არეშიძეს იმაში ვერავინ დაადანაშაულებს, რომ გარდაბანში არსებული ვითარების შესახებ ხელისუფლებასა და საზოგადოებას ინფორმაციას არ აწვდიდა. თუმცა როგორც თავად დაგვიდასტურა, გარდაბნის საკრებულოს წევრობა აღარ სურს, რადგან მისი იქ ყოფნით არაფერი იცვლება. ამ საკითხზე „ვერსიის“ რამდენიმე კითხვას **მამუკა არეშიძემ** ასე უპასუხა:

— ბატონო მამუკა, ჩვენი ინფორმაციით, გარდაბნის საკრებულო დატოვეთ. რატომ?

— ამის შესახებ განცხადება ერთი კვირის წინ დავწერე. არ ვიცი, ეს განცხადება მიიღეს და დააკმაყოფილეს თუ არა, რადგან თბილისშიც არ ვიყავი ეს დღეები. ჩემი გადაწყვეტილების მიზეზი გარდაბანში არსებული უცვლელი ვითარებაა — ისევ კლანური მმართველობა, უმოქმედობა. პირდაპირ ვამბობ, ხალხს ვერც ერთი დაპირება ვერ შევუსრულე, რაც ადგილობრივ არჩევნებზე, მანამდე კი კოალიცია „ოცნებასთან“ ერთად მივეცი — ვერც ჩამორთმეული მიწები დავუბრუნე, ვერც სამართლიანობა აღვადგინე. ეს უკვე ღირსების საკითხიცაა, როცა ამდენი ადამიანი გელოდება, შენი იმედი აქვს, შენგან პასუხს ელის და არაფრის გაკეთება შეგიძლია. გარდაბანში რაც ხდება, ეს მთელ საქართველოში არსებული ვითარების მოდელია. გარდაბანი 2000-იან წლებში დარჩა და ამ რაიონში ე.წ. კოჰაბიტაცია „ოცნებასა“ და ნაციონალებს შორის სწორედ ახლა ყვავის. გარდაბნის ადგილობრივ ხელისუფლებაში ნაციონალური მოძრაობის რეანიმაცია ხდება, რაიონში ისევ ფეიქრიშვილ-ლელუაშვილის კლანური მმართველობაა. მინდა, ისიც ყველას ახსოვდეს, რომ, როგორც კი საკრებულოში შევედი, მაშინვე უარი ვთქვი საწვავის ანაზღაურებაზეც და ხელფასზეც. დიდი არც არაფერი ყოფილა, თუმცა არ მინდა, ხალხს ეგონოს, რომ ჩემი მიზანი ამ სიკეთეების მიღება იყო, მით უმეტეს, როცა ასეთი „სიკეთეები“ არც არსებობდა.

— საკრებულოს უმრავლესობას რა რეაქცია ჰქონდა თქვენს გადაწყვეტილებაზე, ან ხელს ვინ გიშლიდათ საქმიანობაში?

— ნამდვილად ვერ დავადანაშაულებ გარდაბნის საკრებულოს თავმჯდომარეს, ვაჟა გენგაშვილს და ვერ ვიტყვი, რომ ხელს რამეში მიშლიდა. ახლა, ამ ბოლო დროს რამდენიმე დეპუტატმაც ამოიღო ხმა და ვერ ვიტყვი, რომ გარდაბნის საკრებულოში ყველა მიჩუმათებულია. რაც შეეხება საკრებულოს უმრავლესობას, ძნელი სათქმელია, რომ ის მმართველი გუნდის მიერაა დაკომპლექტებული და ამაშიც ფეიქრიშვილის ხელი ურევია. ჩემს ადგილს კი საკრებულოში ვეტერანთა პოლიტიკური გაერთიანების სიის მეორე ნომერი დაიკავებს, რომელიც ადგილობრივია და ძალიან კარგი პიროვნებაა. რაც დღეს გარდაბანში ხდება, იგივეა მთელ საქართველოში და ეს „ქართულმა ოცნებამ“ ძალიან კარგად იცის!

— გამოდის, თქვენი ეს გადაწყვეტილება პროტესტია ხელისუფლების მიმართ?

— დიახ. შეგიძლიათ ჩათვალოთ, რომ ეს არის ჩემი პროტესტი ხელისუფლების უმოქმედობის მიმართ გარდაბნის რაიონში.

რას უნდა ველოდეთ რიგის სამიტისგან

გვექნება თუ არა ევროპაში უვიზო მიმოსვლის უფლება

ნინი ჯაფარიძე
571-17-00-02

„თუ ხიდზე გადასვლა გსურთ, ჯერ მდინარესთან უნდა მიხვიდეთ“, — ასე უპასუხა ევროკავშირის ელჩმა იანოშ ჰერმანმა კითხვას, როდის გახდება საქართველო ევროკავშირის წევრი. მისივე განმარტებით, ჩვენ უკვე გვაქვს ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება და რაც უფრო წინ წავიწევთ ამ მიმართულებით, მსგავსი კითხვის დასმის მით მეტი უფლება გვექნება. რიგაში, 21-22 მაისს დაგეგმილი აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტი კარს მოგვადგა. ლატვიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ანდრის ბერჟინმა ნოემბერში განაცხადა, რომ რეფორმების თვალსაზრისით, საქართველოს ძალისხმევა აშკარაა და ამ კუთხით ის ერთ-ერთი ლიდერი ქვეყანაა. მინისტრმა იმედი გამოთქვა, რომ თანამშრომლობა საქართველოსა და ევროკავშირს შორის კიდევ უფრო გაღრმავდებოდა მათ შორის ისეთ საკითხებშიც, როგორიც არის უსაფრთხოება, თავდაცვა და ენერგოპოლიტიკა. რას ფიქრობს დღეს სამიტის მასპინძელი ქვეყნის უმაღლესი უწყების წარმომადგენელი, სამიტი მიმდინარეობისას შევიტყობთ, მანამდე კი „ვერსია“ ქართველი პოლიტიკოსებისა და ექსპერტების აზრით დაინტერესდა. შევეცადეთ გაგვერკვია, რა მნიშვნელობა აქვს რიგის სამიტს საქართველოსთვის და რა მოლოდინი უნდა გვქონდეს.

საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის წევრი **გია ვოლსკი** აცხადებს, რომ რიგის სამიტი საქართველოს მხრიდან ევროინტეგრაციისკენ გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯია. რაც შეეხება ვიზალიბერალიზაციას, მისი განმარტებით, რიგის სამიტი არ არის ის შემთხვევა, სადაც აღნიშნულ პროცესთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილება უნდა მიიღონ და მოლოდინი ამასთან დაკავშირებით, მცდარია: **„რიგის სამიტი ევროინტეგრაციის სტრატეგიის კუთხით კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯია. სხვადასხვა ქვეყნის უმაღლესმა წარმომადგენლებმა უკვე განაცხადეს იმ პოზიტიური დამოკიდებულების შესახებ, რომელსაც დღეს ისინი საქართველოში ხედავენ. ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციები, როგორიცაა ევროპის საბჭო, საპარლამენტო ასამბლეა, საქართველოში მიმდინარე მოვლენებს დადებითად აფასებენ. ხაზგასმულია სამართლის სფერო და აქ მომხდარი რეფორმების პოზიტიურობაც. ასევე სახელმწიფოს დამოკიდებულება მედიასთან. რაც შეეხება ვიზა ლიბერალიზაციას, ისეთი წარმოდგენაა, თითქოს ეს საკითხი ამ სამიტზე საბოლოოდ გადაწყდება. სინამდვილეში, ეს პროცედურა ამას სულაც არ ითვალისწინებს. რიგის სამიტზე საქართველოს შეაფასებენ. იტყვიან, რა ეტაპზეა ქვეყანა. შემდგომი ნაბიჯების სწორედ ამ შეფასებებზეა დამოკიდებული“.**

პოლიტოლოგი **ვახტანგ ძაბირაძე** მიიჩნევს, რომ საქართველოს მოლოდინი რიგის სამიტთან დაკავშირებით მაღალი უნდა იყოს, რადგან შეფასებები პოზიტიური იქნება. აღსანიშნავია, რომ ძაბირაძე რიგის სამიტს საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ჭრილშიც განიხილავს და აცხადებს, რომ სწორედ აქ გამოჩნდება, რამდენად მზადაა დასავლეთი, რუსეთის წინააღმდეგ მკვეთრი ნაბიჯები გადადგას: **„რიგის სამიტთან დაკავშირებით დიდი მოლოდინი უნდა გვქონდეს, რადგან ეს საქართველოს საგარეო კურსის კიდევ ერთი დადასტურება იქნება. ეს არის მნიშვნელოვანი ნაბიჯი როგორც ორიენტაციის, ასევე სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბებისთვის და ქვეყანაში დემოკრატიული პროცესების განვითარების კუთხითაც. სამიტზე ასევე ვნახავთ, რამდენადაა მზად დასავლეთი მკვეთრი ნაბიჯები გადადგას რუსეთთან მიმართებაში. 10 მაისს მერკელი მოსკოვში ჩასვლას აპირებს და იქაც მნიშვნელოვანი მოლაპარაკებები შედგება. ამას აქვს როგორც სოციალური, ასევე პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა. მგონია, პოზიტიურ სიახლეს უვიზო მიმოსვლის მიმართულებითაც უნდა ველოდეთ, მაგრამ თუ ასე არ მოხდა, არ უნდა გავნაწყენდეთ. იმედია, ვიზების შემსუბუქების საკითხი მაინც დადგება. მაგალითად, ერთი ან ორი წელი ლიბერალური ვიზები იყოს, შემდგომ კი ეს პროცესი დასრულდება და გადავალთ უვიზო მიმოსვლაზე“.**

სტრატეგიული დაგეგმარებისა და უსაფრთხოების ექსპერტი **თეიმურაზ თუმანიშვილი** ასევე მიიჩნევს, რომ საქართველო რიგის სამიტზე დადებით შეფასებებს მიიღებს. მისი განცხადებით, ჩვენი ქვეყანა უმნიშვნელოვანესი რეგიონის ცენტრშია და ავტომატურად ხდება ამ რეგიონის „გასაღები“: **„ამ რეგიონის მიმართ, სამიტის ორგანიზატორებს აქვთ გამოკვეთილი გეგმები, რომლებიც უკავშირდება სომხეთსა და აზერბაიჯანს, ამ ქვეყნების დაახლოვებას ევროკავშირთან. ამ ფონზე საქართველო მთელი რეგიონის უშუალო სახელმწიფო-გასაღები ხდება. გარდა ამისა, გერმანიის საგარეო მინისტრის, შტაინმაიერის დადებითი შეფასებებიც იმის მანიშნებელია, რომ შეფასებები პოზიტიური იქნება. თუმცა ვფიქრობ, შესაძლოა, ლართან დაკავშირებით გარკვეული შენიშვნები და მითითებები გაკეთდეს. ვიზა ლიბერალიზაციის კუთხით კი, შესაძლოა, პოზიტიური ცვლილებები იგეგმებოდეს. მიუხედავად იმისა,**

რომ რუსეთი ყველა ბერკეტს გამოიყენებს, ამ ქმედებების შესაფერხებლად ან დასაბლოკად“.

პოლიტოლოგ **სოსო ცინცაძეს** რადიკალურად განსხვავებული შეხედულება აქვს. მისი აზრით, ნაკლებად მოსალოდნელია, რიგის სამიტზე საქართველომ დადებითი შეფასებები მიიღოს. ცინცაძის განმარტებით, უმჯობესია, საქართველო შედეგზე ორიენტირებული შედეგზე იყოს და არა დაპირებებზე: **„გულახდილად გეტყვით, რიგის სამიტი საქართველოსთვის არაფერსაც არ ნიშნავს. ნატო, ევროკავშირი, ვიზა ლიბერალიზაცია ეს ყველაფერი ეფექტია. შეფასება ასე უნდა გავაკეთოთ: ან გვეძლევა უვიზო მიმოსვლის შანსი, ან არა. პროცესი ფასდება შედეგით. შედეგებზე უნდა ვიყოთ ორიენტირებულები და არა დაპირებებზე. მოლდოვაში უკვე უვიზო რეჟიმია. გეკითხებით საამისოდ რა რეფორმები გატარდა მოლდოვაში? ან რითია მოლდოვა ევროპასთან უფრო ახლო ვიდრე საქართველო? დამერწმუნეთ, იქ ხალხი არ ცხოვრობს ჩვენზე უკეთ. იქ კომუნისტური პარტიაა ძლიერი. ჩვენთან კი ეს პარტია აღარ არსებობს. ეს არის განსხვავება. და ესაა ევროპული ფასეულობა და ღირებულება? თუ ეს არის დემოკრატია და ევროპული სახელმწიფო, მაშინ რა ფასი აქვს ამ ყველაფერს. ვიზა ლიბერალიზაციას არ მოგვცემენ არც დღეს და არც ხვალ. ღატაკ ქვეყნებს ყველა ერიდება. აბა, რით უნდა მოვაწონოთ თავი ევროპას? იმით, რომ გავხსნათ საზღვრები? შესაძლოა, მკრეხელობა იყოს ჩემი მხრიდან, მაგრამ ვიტყვი, რომ, როდესაც საზღვარი გაიხსნება, ქვეყანა დაიცლება“.**

„ევროპელი დემოკრატების“ ლიდერს, პაატა დავითაიას რიგის სამიტთან დაკავშირებით სკეპტიკური დამოკიდებულება აქვს. მისი განცხადებით ეს სამიტი საქართველოსთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, მაგრამ საქართველო, სავარაუდოდ, პოზიტიურ შეფასებებს ვერ მიიღებს. ასეთ არასახარბიელო პროგნოზს, **პაატა დავითაია** იმ მუშადოკუმენტზე დაყრდნობით აკეთებს, რომელიც მას ხელთ აქვს: **„ვერ გეტყვით, ეს რა დოკუმენტია, თუმცა თუ ისე განვითარდა მოვლენები, როგორც ვფიქრობ, რიგის სამიტზე კარგ შეფასებებს არ მივიღებთ. დამერწმუნეთ, სამიტზე ყველაფერი ისახება. იქ იმ შედეგს ვიღებთ, რასაც ვაკეთებთ აქ. ჩვენ გვაქვს სახელისუფლო კრიზისი. სავიზო რეჟიმზეც იკავებენ უკვე თავს და არ მგონია, ამ სამიტმა რაიმე განსაკუთრებული შედეგები მოიტანოს“.**

ექსკლუზიური ინტერვიუ ფრონტის ხაზიდან

მამუკა მამულაშვილი დაიბადა 1978 წლის 22 აპრილს. ჰყავს მამა, დედა და და. ასევე — მეუღლე და 2 ვაჟი. უფროსი 3 წლისაა, უმცროსი 2-ის. დამთავრებული აქვს უმაღლესი და აქვს მაგისტრის წოდება. მრავალ ბრძოლაშია ნამყოფი. აფხაზეთშიც იბრძოდა, სადაც ტყვეობაში 3 თვე გაატარა. ამჟამად, მამუკა, უკრაინაში ქართული ლეგიონის მეთაურია და უკრაინელ მებრძოლებს ტაქტიკური ბრძოლებისა და თეორიის შესახებ ინსტრუქტაჟს უტარებს.

უკრაინაში მებრძოლი ქართველი გმირი მამუკა მამულაშვილი აფხაზეთში ტყვეობის დეტალებს იხსენებს

ლევან ხვედელიძე
„ვერსიისთვის“ ავსტრიიდან

საქართველოს არაერთი გმირი გაუზრდია. ისეთებიც, სამშობლოს გარდა, სხვა ქვეყნებშიც რომ იბრძვიან მოქალაქეების დასაცავად. ასეა დღესაც — მეგობარ უკრაინაში ან უფრო სწორად, უკრაინისთვის, არაერთმა ქართველმა აისხა იარაღი. „ვერსია“ იწყებს ახალ რუბრიკას — „ჩვენი გმირები“, რომლის საშუალებითაც ვეცდებით, ჩვენი გმირების სახელები გაგაგებინოთ და იმის შესახებაც გიამბოთ, როგორია მათი ცხოვრება, რას გრძნობენ და რას განიცდიან, როგორ ხვდებიან ყოველ დღეს და ფიქრობენ თუ არა იმაზე, რომ ნებისმიერ წამს შეიძლება სიკვდილს თვალებში ჩახედონ, როგორი შემართება აქვთ, ვის რა ბეგრაუნდი აქვს... აქ ამოიკითხავთ ისტორიებს, რომლებიც მათ თავს გადახდა და რომლებზეც ჯერ არსად უსაუბრიათ. მაშ ასე, პირდაპირ ბრძოლის ველიდან, „ჩვენი გმირების“ პირველი სტუმარი, უკრაინაში მებრძოლი მამუკა მამულაშვილია.

— მამუკა, შეგიძლიათ, აფხაზეთის ომის დეტალები გაიხსენოთ?

— აფხაზეთის ომში მამასთან ერთად ვიყავი, 1992 წელს. პირველი საბრძოლო გამოცდილება იქ მივიღე. დაახლოებით 1 წელი ვიბრძოლე და მამასთან ერთად, ტყვედაც ჩავვარდი. ტყვეობაში სამი თვე გავატარეთ, მერე გადამცვალეს ერთ-ერთი აფხაზი ჩინოვნიკის შვილში — 18 წლის იყო, გვარად ჯინჯოლია. სახელი აღარ მახსოვს. ტყვეობის მერე საკმაოდ მძიმე და რთული პერიოდი მქონდა. ფიზიკურადაც ვერ ვგრძნობდი თავს კარგად. როცა გამოვჯანმრთელდი, მამამ ჩეჩნების დასახმარებლად გამგზავნა, მეორე ჩეჩნურ ომში, ურუს-მარტანის დასახლებაში. გროზნოშიც ვიბრძოდი. სიმართლე გითხრათ, არ მინდა, დეტალურად მოგიყვეთ, სად, როდის ვიბრძოდი, რადგან იმხანად საქართველო ჩეჩნეთს მხოლოდ პერიოდულად ეხმარებოდა. ჩვენ ხან ვეხმარებოდით, ხან არა. არადა, ისინი აფხაზეთში გავიცანით, როდესაც ჩვენს წინაამღდეგ ომობდნენ. თავად დაგვიმეგობრდნენ, როცა ტყვედ ვიყავით. მამაჩემს სთავაზობდნენ, ტყვეთა ბანაკში შემოცვივდებით და ბრძოლით გაგიყვანთ ყველასო, მაგრამ მამამ უარი უთხრა. არ ენდო, პროვოკაცია ეგონა. დახმარების მიუხედავად, მათმა ნაწილმა, კადიროველებმა, 2008 წელსაც აიღეს იარაღი ჩვენს წინააღმდეგ.

— თუ თქვენთვის რთული არ იქნება გახსენება, იქნებ გვიამბოთ, ტყვეობაში აფხაზები როგორ გექცეოდნენ?

— რატომაც არა, გავიხსენოთ. ჩემთვის დღეს რთული აღარაფერია. იქ არ იყო აფხაზური სეპარატიზმი, ეს იყო რუსული სპეცსამსახურების დიდი ოპერაცია, რომელსაც ერქვა აფხაზეთის ომი. ქართულ-აფხაზური კონფლიქტი რომ დავარქვათ, სისულელე იქნება. რუსები სასტიკები იყვნენ. პერიოდულად გავყავდით, გვცემდნენ, გვაწამებდნენ, ფსიქოლოგიურ ზეწოლას განვიცდიდით. მე პირადად, არაერთი მოტეხილობა მქონდა... მძიმე იყო ტყვეთა ბანაკში ყოფნა. მათ ინფორმაცია სჭირდებოდათ, მე კი პატარა ვიყავი და არანაირი ინფორმაცია არ მქონდა. არც შეიძლებოდა მქონოდა. რუსებს საკმაოდ აპრობირებული მეთოდები აქვთ და ამ საქმის პროფესიონალები არიან. სპეციალურად ჰყავდათ ჩამოყვანილი FSB-ს ოფიცერი, თანამშრომლები, რომლებიც წამებისა და დაკითხვის პროცესებს აწარმოებდნენ. მერე გადაგვიყვანეს სპეციალურ, უფრო მკაცრ იზოლატორში მე და მამა. ჩვენთან ერთად იყო ასევე ჩვენი 33 მებრძოლი, ვინც გადარჩა ბოლო ბრძოლიდან. მარტო მე არა, ყველას სასტიკად ექცეოდნენ. მათთვის დიდი და პატარა არ არსებობდა. არ დავმალავ, იყო შემთხვევა, ერთმა აფხაზმა მეთაურმა გადამიყვანა თავის ოჯახში, სადაც რამდენიმე დღე ვიცხოვრე. მერე, რუსების მოთხოვნით, დამაბრუნეს ისევ იზოლატორში, არ გამაჩერეს მასთან.

— ჰუმანურობა გამოიჩინა აფხაზმა?

— დიახ. ოჯახში ერთი ოთახი ცალკე გამომიყვეს, სადაც ჩაკეტილი ვიყავი.

— მშვიდობიანი მოსახლეობაც ჰყავდათ ტყვეებად?

— დიახ. რომ გადაგვიყვანეს ტყვეთა ბანაკში, უამრავი ხალხი ყავდათ დაკავებული. ალბათ 70 სამოქალაქო პირი იქნებოდა. ჩვენ ცალკე ვყავდით, როგორც სამხედროები და შესაბამისად, მეტად მკაცრი და სხვანაირი მოპყრობა გვქონდა. სამოქალაქოებს შედარებით ჰუმანურად ეპყრობოდნენ.

ვერსიანიუსი

შსს-მ გორის რაიონის სოფელ ფლავისმანში მომხდარი მკვლელობა ცხელ კვალზე გახსნა

შსს-ს შიდა ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოს და გორის რაიონული სამმართველოს ტყვიავის განყოფილების თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1980 წელს დაბადებული გელა ვ. განზრახ მკვლელობის ბრალდებით, ცხელ კვალზე დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულმა გორის რაიონის სოფელ ფლავისმანში, ურთიერთშელაპარაკებისას, გულმკერდის არეში ცივი იარაღით სასიკვდილო ჭრილობები მიაყენა თანასოფლელებს – გელა გ-ს და მის ძმას, ბადრი გ-ს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. გელა გ. ადგილზე გარდაიცვალა, ხოლო ბადრი გ-ს სასწრაფო გადაუდებელი ოპერაცია ჩაუტარდა. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია.

სამართალდამცველებმა ბრალდებული დანაშაულის ჩადენიდან ერთ საათში, გორის რაიონის სოფელ ფლავის მიმდებარე ტერიტორიაზე დააკავეს. დაკავებულის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას დანაშაულის ჩადენის იარაღი – დანა ნივთმტკიცებად ამოიღეს. ბრალდებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

გამოძიება განზრახ მკვლელობის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 108-ე მუხლით, რაც 7-დან 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს).

„ვერსიანიუსი“

გიორგი მარგველაშვილი აშშ-ს კონგრესის დელეგაციას შეხვდა

პრეზიდენტი საქართველოში ვიზიტით მყოფ აშშ-ს კონგრესის დელეგაციას შეხვდა, რომელსაც წარმომადგენელთა პალატის შეიარაღებული ძალების საკითხთა კომიტეტის წევრი ჯო უილსონი ხელმძღვანელობს.

შეხვედრისას, მხარეებმა მიმდინარე საკითხების ფართო სპექტრი განიხილეს. კერძოდ საუბარი შეეხო საქართველოსა და შეერთებულ შტატებს შორის სხვადასხვა სფეროში თანამშრომლობისა და ურთიერთობის გაღრმავების პერსპექტივებს და ამ პროცესში აშშ-ს საკანონმდებლო ორგანოს წარმომადგენელთა აქტიური ჩაბმულობის მნიშვნელობას.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ აშშ საქართველოს სტრატეგიული პარტნიორია და მხარეები ყველაფერს გააკეთებენ, რათა ეს ურთიერთობა ხარისხობრივად ახალ საფეხურზე გადავიდეს. კონგრესმენთა დელეგაციამ ხაზი გაუსვა ამ მიმართულებით საქართველო-ამერიკას შორის გაფორმებული ქარტიის მნიშვნელობასაც. ხაზგასმით აღინიშნა ისიც, რომ საქართველოს დემოკრატიული განვითარება და ევროატლანტიკური ინტეგრაცია შეუქცევადი პროცესია.

საუბრის ერთ-ერთი მთავარი თემა იყო საქართველოსა და ამერიკას შორის წარმატებული თანამშრომლობის გაგრძელება საერთაშორისო გლობალური უსაფრთხოებისა და ანტიტერორისტული საქმიანობის თვალსაზრისით. მხარეებმა ყურადღება ნატო-ს მისიებში საქართველოს მონაწილეობის მნიშვნელობაზეც გაამახვილეს. როგორც კონგრესმენებმა განაცხადეს, ამერიკის შეერთებული შტატები აფასებს საქართველოს მიერ შეტანილ წვლილს საერთაშორისო მისიებში. საუბარი ასევე რეგიონში შექმნილ ვითარებასაც შეეხო.

საქართველოს პრეზიდენტმა მადლობა გადაუხადა კონგრესმენ ჯო უილსონს და აშშ-ს საკანონმდებლო ორგანოს სხვა წარმომადგენლებს, საქართველოს დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერისათვის, ასევე ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის პროცესში თანადგომისთვის და იმედი გამოთქვა, რომ თანამშრომლობა მომავალში უფრო გაღრმავდება.

შეხვედრას საქართველოს უშიშროების საბჭოს მდივანი ირინა იმერლიშვილი, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი დავით პატარაია, პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველი ეკონომიკურ საკითხებში გიორგი აბაშიშვილი, საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველი საგარეო ურთიერთობათა მდივანი თენგიზ ფხალაძე ესწრებოდნენ.

„პირველი“

პრემიერ-მინისტრმა ან ბრასორს რუსეთისთვის საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების მოწოდება სთხოვა

პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტს ან ბრასორს შეხვდა.

პრემიერმა ან ბრასორს ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სადამკვირვებლო კომისიის თანამომხსენებელთა კონსტრუქციული მუშაობისათვის მადლობა გადაუხადა.

შეხვედრაზე ირაკლი ღარიბაშვილმა შეშფოთება გამოთქვა იმ ე.წ ხელშეკრულების გამო, რომელიც რუსეთმა სოხუმსა და ცხინვალთან გააფორმა. პრემიერის თქმით, საქართველომ შეასრულა საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუციების ყველა პირობა მაშინ, როდესაც რუსეთი კვლავ არღვევს საკვანძო დებულებათა უმრავლესობას. ამ ვითარების ფონზე, პრემიერმა თხოვნით მიმართა საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტს, გამოიყენოს ყველა არსებული საშუალება და მოუწოდოს რუსეთს, შეასრულოს საერთაშორისო სამართლის ფარგლებში აღებული ვალდებულებები.

თავის მხრივ, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტმა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერაზე და ამ პროცესში ევროპის საბჭოს როლზე ისაუბრა.

„პირველი“

რა ცვლილებები შედის საგადასახადო კოდექსში

მაია მიშელაძე
593-51-90-12

საქართველოს მთავრობის ინიციატივით, საგადასახადო კოდექსში ცვლილებები შედის. კანონპროექტი უკვე პარლამენტშია გადაგზავნილი. ახალი საკანონმდებლო ინიციატივა სამართლიანი და ეფექტური ადმინისტრირებისთვის საჭირო სამართლებრივი ბაზის შექმნას, ასევე ჯარიმებისა და სანქციების ლიბერალიზაციას შეუწყობს ხელს. კანონპროექტის მიღების მიზეზია გადასახადების ადმინისტრირების სრულყოფა, სანქციების ლიბერალიზაცია, ცალკეული კატეგორიის გადამხდელთა საგადასახადო ტვირთის შემსუბუქება, გადასახადის გადამხდელის მიერ გადასახადების/სანქციების ბიუჯეტში გადახდის სისტემის გამარტივება, აგრეთვე ზოგიერთი ტექნიკური უზუსტობისა და ბუნდოვანების აღმოფხვრა.

საგადასახადო კოდექსში შესატანი ცვლილებების კანონპროექტის ინიციატორი საქართველოს მთავრობა, ხოლო ავტორი ფინანსთა სამინისტროა. კანონპროექტის განმარტებითი ბარათის მიხედვით, იცვლება ზედმეტად გადახდილი გადასახადის ან/და სანქციის თანხების დაბრუნების ვადები: **„კანონის მოქმედი რედაქციით, დადგენილია ზედმეტად გადახდილი დღგ-ს თანხების დაბრუნების განსხვავებული, ერთთვიანი ვადა, თუ ზედმეტად გადახდილი თანხის წარმოქმნის საფუძველს ექსპორტი ან ძირითადი საშუალებების იმპორტი/შეძენა წარმოადგენს. ცვლილებების პროექტის თანახმად, ყველა სახის ზედმეტად გადახდილი თანხა დაბრუნდება მოთხოვნის წარდგენიდან ერთი თვის ვადაში. იცვლება ზედმეტად გადახდილი გადასახადის ან/და სანქციის თანხების მომავალ გადასახადებში ჩათვლისა და გადასახადის ერთი კატეგორიის მეორეში გადატანის პირობები. ზედმეტად გადახდილი თანხებით ავტომატურად განხორციელდება მომავალი აღიარებული საგადასახადო დავალიანების დაფარვა და პირს აღარ დასჭირდება საგადასახადო ორგანოსთვის მიმართვა აღნიშნული ოპერაციის განხორციელების მოთხოვნით“.**

მთავრობის ინიციატივით, უძრავ ქონებაში კაპიტალდაბანდება მომგებიანი ხდება

კანონპროექტი ბიზნესის ხელშეწყობისა და სტიმულირების მიზნით, მნიშვნელოვან მექანიზმებს ითვალისწინებს. ცვლილებების მიხედვით, საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე, 2015 წლის 1 აპრილამდე შემოტანილი მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მფლობელი, აღნიშნულ სატრანსპორტო საშუალებაზე, საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილ ვადაში გადასახდელი თანხის გადაუხდელობისათვის, წარდგენის/გამოცხადების/ზოგადი დეკლარირების ვადის დარღვევისათვის, სასაქონლო ოპერაციის პირობების დარღვევისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდება, თუ იგი 2015 წლის 1 სექტემბრამდე, ამ მექანიკური სატრანსპორტო საშუალების წარდგენასა და გაფორმებას უზრუნველყოფს.

კონკრეტულად ამ ცვლილებასთან დაკავშირებით, ფინანსთა მინისტრის მოადგილემ, **ლაშა ხუციშვილმა** განაცხადა, რომ სამინისტრომ ავტოიმპორტიორების პრობლემა კარგად შეისწავლა: **„ჩვენ შევისწავლეთ ავტოიმპორტიორთა პრობლემა, რომლებსაც, ძირითადად, საგარეო ფაქტორების გამო შეუმცირდათ ექსპორტის მოცულობა აზერბაიჯანის, სომხეთისა და ყაზახეთის მიმართულებით. სწორედ ამიტომ მივიღეთ გადაწყვეტილება, რათა განბაჟების ვადები გაგრძელებულიყო. ასევე გადავწყვიტეთ, ის ჯარიმები და საურავები ჩამოგვეწერა, რომლებიც ავტოიმპორტიორებს იმის გამო აქვთ დარიცხული, რომ დადგენილ ვადაში ავტომობილი დროულად ვერ განაბაჟეს“.**

ცვლილებების კანონპროექტი, გარკვეული კატეგორიის გადასახადის გადამხდელებისთვის საგადასახადო ტვირთის შემცირებასაც ითვალისწინებს. მაგალითად, ფიზიკური პირის მიერ, საცხოვრებელი ფართის გაქირავების შედეგად მიღებული შემოსავალი, არსებული 20%-ის ნაცვლად, საშემოსავლო გადასახადის 5%-იანი განაკვეთით დაიბეგრება; ფიზიკური პირის მიერ, საცხოვრებელი სახლისა და მასზე დამაგრებული მიწის ნაკვეთის, აგრეთვე ავტომანქანის მიწოდების შედეგად მიღებული ნამეტი შემოსავალი, 20%-ის ნაცვლად, 5%-ით დაიბეგრება; არარეზიდენტისთვის გადახდილი როიალტი (გადასახადი, რომელსაც პირი იხდის კონკრეტული ფასეულობის დროებით გამოყენებისათვის, მაგ: სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების სარგებლობის უფლების საფასური, პატენტის გამოყენების საფასური, ნოუ-ჰაუთი მიღებული შემოსავალი და სხვა, — ავტ.), 10%-ის ნაცვლად, 5%-ით დაიბეგრება.

ცვლილებების თანახმად, ცალკეული საგადასახადო სანქციებიც შემსუბუქდება. კერძოდ, გადასახადის ვადაში გადაუხდელობისთვის არსებული, 0.06%-იანი საურავი, 0.05%-მდე შემცირდება ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე; საგადასახადო ორგანოს მიერ, ინვენტარიზაციის შედეგად, პირი დამატებით დაჯარიმდება, სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების საბაზრო ღირებულების 10%-ის ოდენობით, ნაცვლად არსებული 50%-ისა. ამასთან, დანაკლისი განიხილება მისი აღმოჩენის მომენტში საბაზრო ფასით განხორციელებულ მიწოდებად; აღურიცხავი საქონლის გამოვლენისთვის არსებული, 100%-იანი სანქცია, ამ საქონლის ღირებულების 50%-მდე მცირდება.

ფინანსთა სამინისტროში განმარტავენ, რომ საგადასახადო კოდექსში შესატანი ცვლილებების ნაწილი, ბიზნესთან კონსულტაციისა და მათი წინადადებების გათვალისწინების შედეგად მომზადდა. მას შემდეგ, რაც საქართველოს პარლამენტი ამ ცვლილებებს დაამტკიცებს, საქართველოს მოქალაქეებსა და ბიზნესსექტორს, საგადასახადო ტვირთი მნიშვნელოვნად შეუმსუბუქდება.

საგადასახადო კოდექსში შესატან ცვლილებებს ბიზნესსექტორის წარმომადგენლები პოზიტიურად აფასებენ. განსაკუთრებით კი იმ ცვლილებას მიიჩნევენ მნიშვნელოვნად, რომელიც მთავრობამ სამშენებლო ბიზნესის მხარდასაჭერად გადადგა. ბინის გაქირავებიდან მიღებული შემოსავლის 5%-ით დაბეგვრა კარგი ინიციატივაა, რადგან ამიერიდან ფიზიკური პირები ბინებს მხოლოდ საცხოვრებელი პირობების გასაუმჯობესებლად კი არ შეიძენენ, არამედ იმიტომ, რომ სამომავლოდ, ეს ბინები გააქირაონ, რაც ერთგვარი კომერციაა.

მენაშენეთა ასოციაციის თავმჯდომარემ, **ირაკლი როსტომაშვილმა** „ვერსიასთან“ საუბრისას აღნიშნა, რომ მთავრობის ეს ინიციატივა დამატებითი მოტივია იმ პირებისთვის, რომლებსაც ბინების გაქირავება სურთ. მისი თქმით, საქართველოს მოქალაქეთა აბსოლუტური უმრავლესობა დღეს ბინას იმიტომ აქირავებს, რომ ამით დამატებითი შემოსავალი მიიღოს, მაგრამ ამის მიუხედავად, ბინების გაქირავებას მოსახლეობა ბიზნესად ჯერ მაინც ვერ აღიქვამს: **„ჩემთვის, როგორც სამშენებლო სფეროს წარმომადგენლისთვის, მთავრობის ეს ინიციატივა მნიშვნელოვანია, რადგან ჩნდება შანსი, რომ ბინების გაქირავება ბიზნესად ჩაითვალოს. როდესაც ბინის გაქირავების გამო, ადამიანი 20%-იან საშემოსავლო გადასახადს იხდიდა, ამ ტიპის ბიზნესს აზრი არ ჰქონდა, რადგან კომერციულ ბანკში ფულის დაბანდება გაცილებით მომგებიანი იყო, ვიდრე ამ ფულის უძრავ ქონებაში ჩადება. თუ პირობითად, ადრე 100 000 აშშ დოლარი გქონდათ, ახალ ბინას კი არ იყიდდით, ბანკში ჩადებდით, რადგან ამით წელიწადში, დაახლოებით, 6 000 აშშ დოლარს (თვეში 500 აშშ დოლარი) მოიგებდით. იმ შემთხვევაში, თუ პირობითად, ხელზე 100 000 დოლარი გაქვთ, საბურთალოს რაიონში 100 კვადრატული მეტრი ფართის ბინას დაახლოებით, 70 000 აშშ დოლარად შეიძენთ, 30 000 დოლარად კი გაარემონტებთ. ამ ბინას თვეში საშუალოდ, 600 აშშ დოლარად გააქირავებთ, მაგრამ ადრე, 20%-იანი საშემოსავლო გადასახადის სახით, 120 დოლარი უნდა გადაგეხადათ, ხელზე კი მხოლოდ 480 დოლარი დაგრჩებოდათ. ახლა, როდესაც ბინების გაქირავებიდან, საშემოსავლო გადასახადის სახით, მოსახლეობა 20%-ის ნაცვლად, 5%-ს გადაიხდის, გამოდის, რომ პირობითად, 100 000-დოლარიანი ბინის თვეში 600 დოლარად გაქირავების შემთხვევაში, საშემოსავლო გადასახადის სახით, 120 დოლარის ნაცვლად, მხოლოდ 30 დოლარის გადახდა მოუწევს და გამქირავებელს ხელზე 570 დოლარი დარჩება“.**

ირაკლი როსტომაშვილის განცხადებით, მთავრობის ამ ინიციატივით, უძრავ ქონებაში კაპიტალის დაბანდება მომგებიანი გახდება და ბინის გამქირავებელსაც გაუჩნდება სურვილი, საშემოსავლო გადასახადი კი არ დამალოს, როგორც ამას ადრე აკეთებდა, არამედ გადაიხადოს, რადგან 5%-იანი გადასახადი მისთვის მძიმე ტვირთი აღარ იქნება. მისივე თქმით, მთავრობის ახალი ინიციატივა უძრავი ქონების ბაზარსაც გამოაცოცხლებს და ფიზიკურ პირებს უძრავ ქონებაში ინვესტიციის ჩადების საშუალებასაც მისცემს: **„ინვესტორი მხოლოდ მდიდარი უცხოელი ან საერთაშორისო კომპანია ხომ არ არის? ინვესტორია ყველა, ვინც ეკონომიკაში ფულს დებს. მთავრობის ამ ინიციატივით კი, ფიზიკურ პირებს, რომლებსაც გარკვეული კაპიტალი აქვთ, საშუალება ეძლევათ, სწორედ ეკონომიკაში, ამ შემთხვევაში, უძრავ ქონებაში დააბანდონ ეს თანხა“.**

სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსა და ლიბერთი ბანკს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა

მემორანდუმის თანახმად, სახელმწიფო სერვისები ხელმისაწვდომი გახდება ყველა იმ სოფელში, სადაც ლიბერთი ბანკი მომხმარებლებს „ლიბერთი ექსპრესის“ მობილური ფილიალებით ემსახურება. დოკუმენტს ხელი მოაწერეს სერვისების განვითარების სააგენტოს თავმჯდომარე, შიო ხეცურიანმა და ლიბერთი ბანკის გენერალურმა დირექტორმა, გიორგი არველაძემ.

საქართველოს მასშტაბით, ლიბერთი ექსპრესის 70-მდე მობილური ფილიალი ყოველთვიურად 1100-ზე მეტ სოფელში 155,000-ზე მეტ მომხმარებელს ემსახურება. უახლოეს მომავალში, მომხმარებელს ასევე შესაძლებლობა ექნება, საბანკო მომსახურების გარდა, სოფლიდან გაუსვლელად, ლიბერთი ექსპრესის მობილურ ფილიალებშივე მიიღოს ყველაზე მოთხოვნადი სახელმწიფო სერვისები, რაც მოიცავს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს, სოციალური მომსახურების სააგენტოს, ეროვნული არქივისა და ასევე შპს „მექანიზატორის“ სერვისებს.

„სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო მუდმივად ზრუნავს სახელმწიფო სერვისების ხელმისაწვდომობის გაზრდაზე. ჩვენი მიზანია, რაც შეიძლება მეტმა ადამიანმა შეძლოს სახელმწიფო სერვისების გამოყენება, დამატებითი დაბრკოლებების გარეშე. ლიბერთი ბანკთან ერთად განხორციელებული პროექტიც სწორედ ამ მიმართულებით გადადგმული ნაბიჯია — სოფლის მოსახლეობას უკვე შესაძლებლობა მიეცემა სოფლიდან გაუსვლელად მიიღოს მისთვის საჭირო მომსახურება“, — განაცხადა სერვისების განვითარების სააგენტოს თავმჯდომარე **შიო ხეცურიანმა.**

„ლიბერთი ბანკი საქართველოს მასშტაბით 1.5 მილიონზე მეტ მომხმარებელს 630-ზე მეტი ფილიალისა და წარმომადგენლობის საშუალებით ემსახურება. მათ შორის, ლიბერთი ექსპრესის 70-მდე მობილური ფილიალი 1100-ზე მეტ სოფელში ყოველთვიურად 155,000-ზე მეტ მომხმარებელს სთავაზობს საბანკო მომსახურებას. ჩვენი მიზანია მომხმარებელს მაქსიმალური კომფორტი შევუქმნათ და მათ საჭიროებებზე მორგებული მომსახურება შევთავაზოთ. მოხარულები ვართ, რომ შესაძლებლობა მოგვეცა, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსთან ერთად განვახორციელოთ ეს მნიშვნელოვანი პროექტი, რომლის შედეგადაც მომხმარებელი სახელმწიფო სერვისებს ჩვენი არხების მეშვეობით მიიღებს და შესაბამისი მომსახურების საფასურის გადახდასაც ადგილზე შეძლებს“, — განაცხადა ლიბერთი ბანკის გენერალურმა დირექტორმა, **გიორგი არველაძემ.**

პროექტი სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ინოვაციური სერვისების ლაბორატორიის ინიციატივით ხორციელდება.

ირაკლი ღარიბაშვილის მოხსენება პარლამენტში

ნინო ბარბაქაძე

საქართველოს პარლამენტის უმცირესობა 7 მაისს იმ გუნდს შეხვდა, რომლის დამტკიცებაზეც პარლამენტი დღეს იმსჯელებს. ირაკლი ღარიბაშვილმა ნაციონალებს ის შემადგენლობა წარუდგინა, რომელთან ერთადაც აპირებს მუშაობას. როგორც მოსალოდნელი იყო, ნაციონალური მოძრაობის წევრებმა კრიტიკის ქარცეცხლი დაატეხეს, თუმცა... რეალურად, მათ მიერ ნათქვამი ფაქტები ყურით მოთრეული იყო და ეს მაშინ, როცა პრემიერმა ბოლო წლების განმავლობაში განხორციელებული პროექტების შესახებ ვრცელი მოხსენება გააკეთა, რომელსაც „ვერსია“ კომენტარების გარეშე გთავაზობთ, მცირე შემოკლებით.

საკანონმდებლო ორგანოში მთავრობის დამტკიცების პროცედურა დაიწყო

საქართველოს ხელისუფლებას სერიოზული წარმატებები აქვს ყველა მიმართულებით. ხელი მოეწერა ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებას, მნიშვნელოვანი პროგრესია ვიზა-ლიბერალიზაციის გეგმის შესრულების პროცესში. დამეთანხმებით, რომ შეიქმნა თავისუფალი და სამართლიანი საარჩევნო გარემო. განხორციელდა თვითმმართველობის რეფორმა, დაიწყო მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშემწყობი სახელმწიფო პროგრამები. შეწყდა პოლიტიკური მოტივით მოქალაქეთა დევნა. განადგურდა უკანონოდ მოპოვებული პირადი ცხოვრების ამსახველი 155 დისკი. შეწყდა პატიმრების მიმართ არაადამიანური მოპყრობა და წამება. პოლიტიკური წნეხისგან გათავისუფლდა მედია, სასამართლო, პროკურატურა, ბიზნესი.

საყოველთაო დაზღვევის ფარგლებში შევძელით და დღეს დაზღვეულია საქართველოს ყველა მოქალაქე. დასრულდა 84 ახალი ამბულატორიის მშენებლობა, 150 ლარით გაიზარდა და 650 ლარი გახდა სოფლის ექიმების დაფინანსება, დეკრეტული შვებულების ანაზღაურება 600-ის ნაცვლად, გახდა 1000 ლარი. დაიწყო უპრეცედენტო პროგრამა — C ჰეპატიტის ელიმინაცია. მკურნალობა ყველა დაავადებულისთვის არის ხელმისაწვდომი. ასეთი პროექტი არ განხორციელებულა მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში. მინიმალური პენსია გახდა 150 ლარი, გაორმაგდა სოციალურად დაუცველი მოსახლეობისა და დევნილების შემწეობა. 6 რეგიონში ყოველ მესამე და შემდეგ შვილზე გაიცემა ყოველთვიური დახმარება, მთაში — 200, ბარში — 150 ლარი.

საინტერესოა, რომ საცხოვრებლით უზრუნველყოფილია 29 479 დევნილი ოჯახი. „სოფლად სახლის“ პროექტის ფარგლებში 400-მდე დევნილ ოჯახს თანხმობა ეთქვა სახლის შესყიდვაზე. სოციალური პაკეტის ფარგლებში 46 500 დევნილ ოჯახს გაეწია 15 მილიონი ლარის დახმარება. საცხოვრებელი ფართობით უზრუნველყოფილია 90 ეკომიგრანტი ოჯახი, 1 200 ეკომიგრანტს უკანონდება საცხოვრებელი სახლი.

თითქოს აღარავის ახსოვს და ჩვეულებრივ ამბად იქცა, მაგრამ ფაქტია, რომ მოსწავლეებმა უფასო სახელმძღვანელოების მილიონ თექვსმეტი ათასს შვიდასი კომპლექტი მიიღეს. უფასო სასკოლო ტრანსპორტი ემსახურება 52 000-ზე მეტ მოსწავლეს. უმაღლესი განათლების 21 სპეციალობა გახდა უფასო. გაიზარდა სოციალური პროგრამის ფარგლებში დაფინანსებულ სტუდენტთა რაოდენობა. სრულად დაფინანსდა პროფესიული სასწავლებლის 20 ათასამდე სტუდენტი. აშენდა 8 ახალი სკოლა, შენდება 9 ახალი სკოლა. ამ ეტაპზე მიმდინარეობს 18 სკოლის პროექტირება, რომელთაგან 4 სკოლის მშენებლობა უახლოეს მომავალში დაიწყება. რეაბილიტაცია ჩაუტარდა 1 000 სკოლას. 20 წლის განმავლობაში პირველად განხორციელდა მეცნიერების აუდიტი, შეიქმნა კვლევებისა და ინოვაციების საბჭო, რომელიც ქვეყანაში მეცნიერების განვითარების მიზნით გადასადგმელ კონკრეტულ ნაბიჯებზე მუშაობს.

ეკონომიკური მიმართულება ძალიან მნიშვნელოვანია და საუბარი იმაზე, რომ ეკონომიკა ჩამოიშალა, რბილად რომ ვთქვათ, არასერიოზულია. 2013 წელს საქართველოში დაფიქსირდა ეკონომიკის 3,3%-იანი ზრდა, ხოლო 2014 წელს — 4.8%. მნიშვნელოვანია, რომ წინა პერიოდებისგან განსხვავებით, 2014 წელს საქართველოს რეგიონში ეკონომიკის ზრდის საუკეთესო მაჩვენებელი აქვს. 2008-2012 წლებში საქართველოს ვალის ზრდა წინ უსწრებდა ეკონომიკის ზრდას. 2013 იყო ერთადერთი წელი დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში, როცა საქართველოს მთლიანი საგარეო ვალი არათუ გაიზარდა, არამედ 50 მილიონი დოლარით შემცირდა. 2014 წელს, 2012 წელთან შედარებით, ექსპორტი გაიზარდა 20,5%-ით, ევროკავშირთან — 76%-ით, რუსეთთან — დაახლოებით 6-ჯერ (487,5%-ით). 2012, 2013, 2014 წლებში ჯამურად შემოვიდა 3 მილიარდ 126 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიცია. 2014 წელს, 2011 წელთან შედარებით, შემოვიდა 13,9%-ით მეტი ინვესტიცია, ხოლო 2012 წელთან შედარებით, ინვესტიციების მოცულობა დაახლოებით 40%-ითაა გაზრდილი.

ფაქტია, რომ 2014 წლის 1 სექტემბრიდან, ძალაში შევიდა საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების ძირითადი ნაწილი, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის ჩათვლით. „აწარმოე საქართველოში“ პროგრამის ფარგლებში, საქართველოს მასშტაბით ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობისა და ფიზიკური ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფის კომპონენტით უკვე სარგებლობს 64 ბენეფიციარი და დაწყებულია შესაბამისი პროექტების განხორციელება. პროექტების ჯამური მოსალოდნელი ინვესტიცია 111 მილიონ 900 ათას დოლარს აღემატება.

„მკვდარ“ ტურიზმის სფეროს რაც შეეხება — 2012 წლიდან 2014 წლის სამი კვარტლის ჩათვლით, საერთაშორისო ტურიზმიდან შემოვიდა 4 მილიარდ 525 მილიონ 526 ათას 500 დოლარი (2013-დან 2014 წლის სამი კვარტლის ჩათვლით — 3 მილიარდ 114 მილიონ 624 ათას 800 დოლარი). პირველად, საქართველოს სამთო კურორტების ისტორიაში მოხდა სათხილამურო ტრასების ხელოვნური გათოვლიანება გუდაურსა და ბაკურიანში. ეს სათხილამურო სეზონს 5 თვემდე გაზრდის.

დაიწყო მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშემწყობი სახელმწიფო პროგრამა, რომლის მიზანია რეგიონებში, განსაკუთრებით კი, ეკონომიკურად მოწყვლად რეგიონებში ბიზნესის დაწყების ხელშეწყობა, რეგიონებში წარმოებული პროდუქტისა და მომსახურების დივერსიფიკაცია და შესაბამისად — რეგიონებში ეკონომიკური აქტივობის წახალისება და მათი კონკურენტუნარიანობის ზრდა.

მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის კომპონენტის ფარგლებში 2015 წლის ბოლომდე საქართველოს მასშტაბით 1500-ზე მეტ მეწარმეს გაეწევა დახმარება ბიზნესის წამოწყების კუთხით, 2 ათას 100 ადამიანი გაივლის სპეციალურ ტრენინგს და 2 ათას 400-ზე მეტი ადამიანის პირდაპირი დასაქმება მოხდება.

2016-2017 წლებში პროგრამის ფარგლებში დახმარება გაეწევა 2 ათას 800-ზე მეტ მეწარმეს, ხოლო პირდაპირ დასაქმებულთა რაოდენობა 4 ათას 500 ადამიანს შეადგენს. დაიწყო სახელმწიფო ქონების ინვენტარიზაციის სრულმასშტაბიანი პროექტი. სახელმწიფო ქონების პრივატიზებით დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობა ექნებათ მიიღონ სრული ინფორმაცია განსაკარგი ქონების შესახებ.

იწყება პროექტის ,,მაღალსიჩქარიანი ინტერნეტი ყველას“ სამუშაოები. საქართველოს ყველა ქალაქამდე და სოფლამდე ოპტიკურბოჭკოვანი საკაბელო ხაზების მშენებლობის მიზნით განხორციელდა ინტერესთა გამოხატვა.

ჩინეთსა და საქართველოს შორის ხელი მოეწერა შეთანხმებას ,,ახალი აბრეშუმის გზის ეკონომიკური სარტყელის“ განვითარებისთვის თანამშრომლობის შესახებ. პროექტის განხორციელებისთვის ჩინეთის მთავრობამ გამოყო 40 მილიარდი დოლარი.

ძალიან მნიშვნელოვანია ანაკლიაში ღრმაწყლოვანი ნავსადგურის მშენებლობა. აქტიურად ხორციელდება ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობა. საქართველოს ტერიტორიაზე მარაბდა-კარწახის 180 კმ სიგრძის სარკინიგზო უბნის რეაბილიტაციის, რეკონსტრუქციისა და მშენებლობის დასრულების შემდეგ პირველ ეტაპზე შესაძლებელი იქნება წელიწადში 5 მილიონი ტონა ტვირთის ტრანსპორტირება და 1 მილიონი მგზავრის გადაყვანა. დღეისთვის დასრულებულია სამშენებლო სამუშაოების 60 პროცენტი. სამშენებლო სამუშაოების დასრულება საქართველოს მონაკვეთზე იგეგმება 2015 წლის ბოლოსთვის.

დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში პირველად კახეთის რეგიონში (81 წერტილში) მიმდინარეობს სეტყვის საწინააღმდეგო დანადგარების მონტაჟი. ეს საშუალებას მისცემს გლეხებს, თავიდან აიცილონ სეტყვისგან მიყენებული ზარალი.

გაკეთდა 55.4 კმ ახალი გზა და აშენდა 20 ახალი ხიდი, რეაბილიტაცია ჩაუტარდა 600 კმ გზას და 87 ხიდს. 35 მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს და დასრულდა სასმელი წყლით მომარაგების 53 პროექტი. მიმდინარეობს წყალტუბოს სრული რეაბილიტაცია. პროექტის ღირებულება 38 მილიონ ლარზე მეტია და მასზე 500-ზე მეტი ადამიანი დასაქმდა. მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო პროგრამის ფარგლებში გლეხებმა უსასყიდლოდ მიიღეს 107 მილიონ 605 ათას 506 ლარის ღირებულების სასუქი, 47 მილიონ 835 ათას 368 ლარის ღირებულების შხამქიმიკატები, 8 მილიონ 579 ათას 187 ლარის ღირებულების თესლი, 53 მილიონ 704 ათას 193 ლარის ღირებულების ინვენტარი, 232 ათას 486 ლარის ღირებულების ვეტერინარული პრეპარატები. მთლიანობაში მოიხნა 427 ათას 765 ჰექტარი მიწის ფართობი.

დაფინანსდა 119 ახალი საწარმო, 600-ზე მეტი საწარმო გაფართოებულია. მთლიანობაში გაცემულია 22 ათასზე მეტი სესხი, რომელთა ღირებულება 800 მილიონ ლარზე მეტია. სოფლის მეურნეობაში დაფინანსებულ საწარმოებში 10 ათასზე მეტი სამუშაო ადგილი უკვე შეიქმნა. ორი წლის განმავლობაში სახელმწიფო სუბსიდიის დახმარებით გლეხებისგან უკვე შესყიდულია 218 ტონა ყურძენი. მევენახეებმა 2 წლის განმავლობაში შემოსავლების სახით მიიღეს 289 მილიონი ლარი. გასარწყავებულია 88 ათასი და დაშრობილია 26 ათასი ჰექტარი მიწა. 2013-2015 წლებში რეაბილიტირებულია 62 სამელიორაციო სისტემა და ობიექტი. 2013 წლიდან განსაკუთრებით გააქტიურდა სურსათის უვნებლობის კუთხით სახელმწიფო კონტროლი.

რაც შეეხება ეკონომიკის სფეროს — ბოლო ორი წლის განმავლობაში ინდივიდუალურად ელექტროენერგიის გამანაწილებელ ქსელში დაახლოებით 110 ათასი აბონენტი ჩაერთო და 88 ათასამდე ოჯახი გაზიფიცირდა. გაზიფიცირებულ სოფლებში ქსელზე მიერთების საფასური შემცირდა 600-დან 400 ლარამდე. 2016 წლის ბოლოსთვის კომპანია „სოკარ ჯორჯია გაზი“ დაასრულებს ნაკისრი ვალდებულების შესაბამისად 250 ათასი აბონენტის გაზიფიცირებას, ხოლო სხვა პოტენციური აბონენტების გაზიფიცირება განხორციელდება სახელმწიფოს მიერ ტექნიკური და ეკონომიკური მიზანშეწონილობის გათვალისწინებით. ოკუპირებული ტერიტორიების გამყოფი ხაზის მიმდებარე ყველა სოფლის 13 ათასი ოჯახისთვის ბუნებრივი გაზი გახდა ხელმისაწვდომი.

2015 წლის ბოლოსთვის დაგეგმილია 76 დასახლებული პუნქტის გაზიფიცირება, რისთვისაც სახელმწიფო ბიუჯეტიდან წელს 20 მილიონი ლარია გამოყოფილი. ელექტროფიცირდა 22 უშუქო სოფელი და უახლოეს მომავალში დასრულდება კიდევ 6 დასახლებული პუნქტის ელექტროფიცირების სამუშაოები. განხორციელების სხვადასხვა ეტაპზეა 83 ელექტროსადგურის პროექტი, მათ შორის — 2 ქარის ელექტროსადგური. მიმდინარეობს 60 პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა. აქედან იდენტიფიცირებული დადგმული სიმძლავრე აღემატება 800 მეგავატს. 2013 წლიდან დღემდე ექსპლოატაციაში შევიდა 8 ჰიდროელექტროსადგური: მთლიანმა საინვესტიციო ღირებულებამ შეადგინა 258 მილიონ 406 ათასი დოლარი. მიმდინარე წელს იგეგმება 6 ჰიდროელექტროსადგურის, მათ შორის ენერგოსისტემისთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი „ნენსკრა ჰესის“ მშენებლობის დაწყება, რომლის მთლიანი საინვესტიციო ღირებულება 623 მილიონ 650 ათასი დოლარია.

სასოფლო-სამეურნეო ან სამედიცინო საქმიანობის განმახორციელებელი პირი გათავისუფლდა მოგების გადასახადისგან, თუ იგი საგადასახადო წლის დასრულებიდან 3 წლის განმავლობაში მაინც განახორციელებს აღნიშნული მოგების რეინვესტირებას. საქართველოში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის პირველადი მიწოდება, ნაცვლად ჩათვლის უფლების გარეშე გათავისუფლებისა, გათავისუფლდა დღგ-სგან ჩათვლის უფლებით. საგადასახადო დავალიანების იძულებითი გადახდევინება (სახლის გაყიდვა, ქონების გაყიდვა) დაიწყება მხოლოდ საგადასახადო დავის ყველა ინსტანციაში დასრულების შემდეგ. 2014 წლის 1 იანვრიდან საშემოსავლო გადასახადისგან გათავისუფლდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიერ კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული დასაბეგრი შემოსავალი 6000 ლარამდე, ნაცვლად არსებული 3000 ლარისა.

ეტაპობრივად განხორციელდება საგადასახადო შემოწმების, გადასახადის გადამხდელისთვის გადასახადისა და სანქციის დარიცხვის, აგრეთვე გადასახადის გადამხდელის მოთხოვნის წარდგენის 6-წლიანი ხანდაზმულობის ვადის 3 წლამდე შემცირება. 2015 წლის 1 იანვრიდან 2016 წლის 1 იანვრამდე ხანდაზმულობის ვადა უკვე შემცირდა 5 წლამდე, 2016 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე — 4 წლამდე, 2017 წლიდან — 3 წლამდე.

ხანდაზმულობის ვადის შემცირება 6-დან 3-წლამდე უპრეცედენტოა რეგიონისთვის და იშვიათია მსოფლიოში. დავალიანების გადახდევინების გადავადება შესაძლებელი გახდა ერთი წლით, უზრუნველყოფის საშუალებების წარდგენის გარეშე, თუ საგადასახადო დავალიანების თანხა არ აღემატება 5 ათას ლარს. სულ დაახლოებით 20 ათას გადამხდელს ჩამოეწერება 1 მილიარდი ლარის საგადასახადო დავალიანება. უკვე დღეისთვის 3612 გადასახადის გადამხდელს ჩამოეწერა საგადასახადო დავალიანება 334 მილიონ 315 ათას 514 ლარი.

დაიწყო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რეაბილიტაცია, მათ შორისაა, მუცო, დართლო, ჩაჟაში, ვარძია. 2 ძეგლიდან 11-მდე გაიზარდა საქართველოს არამატერიალური მემკვიდრეობის ნუსხა. კულტურული მემკვიდრეობის 19 ძეგლს ჩაუტარდა მასშტაბური სარეაბილიტაციო და საკონსერვაციო სამუშაოები. ხელი მოეწერა ევროკავშირის უმსხვილესი პროგრამის ხელშეკრულებას, რომლის ბიუჯეტი 1 მილიარდ 460 მილიონი ევროა. საქართველოს ეროვნულ კინოცენტრს ბიუჯეტი 1 მილიონი ლარით გაეზარდა. 24 მუზეუმსა და მუზეუმ-ნაკრძალს ჩაუტარდა სარეაბილიტაციო სამუშაოები.

საგრძნობლად გაიზარდა სპორტსმენთა პრემირებისა და სტიპენდირების პროგრამები. გაიზარდა სპორტის სახეობათა

განვითარების პროგრამების ბიუჯეტი. სპორტის სფეროში დამსახურებულ მოღვაწეთა და სპორტსმენთა სოციალური უზრუნველყოფისთვის დაიხარჯა 9 მილიონ ლარზე მეტი. 2013-2014 წლებში ქართველმა სპორტსმენებმა მონაწილეობა მიიღეს 178 საერთაშორისო სპორტულ ასპარეზობაში. სპორტულ სახეობათა განვითარების პროგრამის ფარგლებში სპორტის 45 სახეობაში 122 ადგილობრივი სპორტული შეჯიბრი და 212 სასწავლო-საწვრთნელი შეკრება დაფინანსდა.

აღდგა გაუქმებული გარემოს ზედამხედველობის დეპარტამენტი და ბრძოლა გამოცხადდა ყველა სახის ბრაკონიერობის წინააღმდეგ. დაიწყო ჰაერის და წყლის ხარისხის მონიტორინგის ავტომატური სადგურების ქსელის ფორმირება. დაიწყო რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად ნახანძრალი ტყის აღდგენითი პროცესი ბორჯომის მუნიციპალიტეტში (დღეის მდგომარეობით აღდგენილია 80-მდე ჰა), რაც გაგრძელდება ტერიტორიის სრულ აღდგენამდე. დასრულდა ჯავახეთის დაცული ტერიტორიისა და ოკაცეს კანიონის ინფრასტრუქტურის მოწყობა.

ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, საერთაშორისო მისიებში დაღუპული სამხედრო ოჯახების ერთჯერადი კომპენსაცია გახდა 100 ათასი ლარი. დაღუპული სამხედროების ოჯახებს დაენიშნათ ყოველთვიური კომპენსაცია 500 ლარის ოდენობით, რომელიც 2015 წლიდან 1000 ლარი გახდა. შეიარაღებული ძალების წარმომადგენლების ხელფასები გაიზარდა 20-25%-ით. საერთაშორისო მისიებში დაღუპული ყველა სამხედრო მოსამსახურის ოჯახი დაკმაყოფილდა ბინით. თავდაცვის უწყების და შეიარაღებული ძალების 350-მდე მრავალშვილიან თანამშრომელს დაენიშნა სახელფასო დანამატი.

შემუშავდა და პარლამენტში გადაიგზავნა 200-მდე კანონპროექტი, მათ შორის — არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, რომლის ძალითაც არასრულწლოვანთათვის საქართველოში ინოვაციური სპეციალიზებული მართლმსაჯულების სისტემა ყალიბდება. გაიხსნა 21 საზოგადოებრივი ცენტრი და ქართულ სოფლებში წელს კიდევ 10 ცენტრი გაიხსნება. გაიხსნა მე-13 იუსტიციის სახლი საოკუპაციო ზოლთან. 2015 წელს გაიხსნება იუსტიციის სახლები ფოთში, თიანეთში, ყაზბეგში. დაპროექტდა კიდევ 5 ახალი იუსტიციის სახლის მშენებლობა.

უფასოდ გაიცა 600 ათასამდე ახალი, უსაფრთხო პირადობის მოწმობა, მათ შორის: 31 ათას 345 პედაგოგზე, 63 ათას 888 დევნილზე, 7 ათას 288 ვეტერანზე, 214 ათას 999 სოციალურად დაუცველზე, 17 ათას 423 ახალგაზრდაზე, 25 ათას 795 უსაბუთო პირზე. აღმოიფხვრა გაორებები საარჩევნო სიაში და პირველად შემუშავდა ბიომეტრიული ფოტოსურათებიანი საარჩევნო სია, რამაც გამორიცხა ე. წ. კარუსელები.

ყველასთვის ცნობილია, რომ სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა სასჯელაღსრულების 3 დაწესებულებას, გაიხსნა 3 საზოგადოებრივი მისაღები. სასჯელაღსრულებისა და შეზღუდვის დაწესებულებებში გაიხსნა საწარმოები, სადაც მსჯავრდებულები არიან დასაქმებულები. ამოქმედდა თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულება, რომელიც მთლიანად მსჯავრდებულთა რეაბილიტაცია-რესოციალიზაციაზეა ორიენტირებული და მისი ანალოგი რეგიონში არ არსებობს. გაიხსნა 80 სანოლზე გათვლილი განახლებული და თანამედროვე აპარატურით აღჭურვილი სასჯელაღსრულების ცენტრალური საავადმყოფო, რომელშიც, ასევე, ფუნქციონირებს 57-ადგილიანი საცხოვრებელი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პატიმრებისათვის. სამოქალაქო ჯანდაცვის სექტორის 60-მდე საავადმყოფოსა და კლინიკაში 10 000-მდე პატიმარს შესაბამისი სამედიცინო მომსახურება გაეწია. მსჯავრდებულთათვის განისაზღვრა ახალი კვების სტანდარტი, რომელიც 12 განსხვავებულ მენიუს მოიცავს. დაიწყო C ჰეპატიტის პრევენციის, დიაგნოსტიკისა და მკურნალობის პროგრამა, რომლის ფარგლებშიც გამოკვლეულია 7 ათასამდე, ხოლო განკურნებულია 200-მდე მსჯავრდებული. 2 წლის განმავლობაში ტუბერკულოზის ახალი შემთხვევების რაოდენობა წელიწადში 801-დან (2012 წლის მონაცემები) 82 შემთხვევამდე შემცირდა.

საქართველოს მთავრობა აქტიურად ემზადება რიგის სამიტისთვის, რათა მოხდეს ევროინტეგრაციის გზაზე არსებული პროგრესის ასახვა და ევროპულ ოჯახში პოლიტიკური ასოცირებისა და შემდგომი ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესის შეუქცევადობის დაფიქსირება. ჩვენ გვაქვს სერიოზული პროგრესი ვიზალიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის შესრულების თვალსაზრისით და ველით, რომ რიგის სამიტი ასევე მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ამ პროცესში. უელსის სამიტზე გადაწყდა საქართველოსთვის „არსებით ღონისძიებათა პაკეტის“ შემუშავება, რითიც საქართველო უფრო მეტად დაუახლოვდა ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს. გლობალური უსაფრთხოების საქმეში კიდევ უფრო გაიზარდა საქართველოს წვლილი — 2014 წელს პირველად ჩავერთეთ ცენტრალური აფრიკაში ევროკავშირის მისიაში. განვაგრძობთ აქტიურ მონაწილეობას ავღანეთში ნატო-ს სამშვიდობო ოპერაციაში.

საბედნიეროდ, პოლიცია აღარ არის პოლიტიზებული. სამინისტრო ინარჩუნებს დეპოლიტიზების აღებულ კურსს, პოლიცია აღარ ახორციელებს პოლიტიკურ პროცესებზე ზემოქმედებას და თავის საქმიანობას წარმართავს კანონის, დემოკრატიული სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების დაცვით. საკანონმდებლო ცვლილებები განხორციელდა ისეთ სფეროებში, როგორიცაა, ნარკოტიკული დანაშაული, ოჯახში ძალადობა, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა, სამოქალაქო უსაფრთხოების საკითხების რეგულირება, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უზრუნველყოფა, განხორციელდა ცვლილებები ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში. გამჭვირვალე გახდა დროებითი მოთავსების იზოლატორების საქმიანობა. შეიქმნა მიგრაციის დეპარტამენტი და აშენდა არალეგალ მიგრანტთა დროებითი განთავსების ცენტრი. განხორციელდა უსინათლოთათვის შსს-ს ვებგვერდის ადაპტირება, მომზადდა შსს–ს ვებგვერდის სპეციალური ხმოვანი ვერსია. მეტყველებისა და სმენის პრობლემების მქონე პირებისთვის უზრუნველყოფილია გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრთან, „112“-თან წვდომა მოკლე ტექსტური შეტყობინების ან ვიდეოზარის მეშვეობით. გრძელდება დაბალანსებული ნარკოპოლიტიკის გატარება. პრიორიტეტებს განეკუთვნება ბრძოლა ძალადობის წინააღმდეგ.

აშენდა და რეკონსტრუქცია ჩაუტარდა შსს-ს 100-ზე მეტ ობიექტს. იმ ტერიტორიებზე, სადაც პატრულირება არ ხორციელდებოდა, დღეს უკვე შექმნილია ახალი საპატრულო დანაყოფები. აშენდა და ექსპლოატაციაში შევიდა 10 ახალი სასაზღვრო სექტორი. აღდგენილია სასაზღვრო სექტორებამდე მისასვლელი გზები. ჩატარდა სარემონტო, გაზიფიცირების, ელექტრიფიცირების, წყალმომარაგებისა და სხვა სახის მოწყობითი სამუშაოები. განახევრდა საპატრულო ჯარიმები და გამკაცრდა ნასვამი მძღოლების მიმართ სანქციები.

შესაბამისი კანონპროექტის დამტკიცების შემდეგ, სამსახურებრივი მოვალეობის დროს დაღუპული პოლიციელების ოჯახებისთვის გაიცემა 100 ათასი ლარი.

პრემიერ-მინისტრის მიერ შექმნილმა განათლების საერთაშორისო ცენტრმა უკვე დააფინანსა 87 სტუდენტის სწავლება მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში და წელს დამატებით 115 სტუდენტის დაფინანსებას ვგეგმავთ. პრემიერისვე ინიციატივით შექმნილი სოლიდარობის ფონდის მეშვეობით ონკოლოგიური დაავადების მქონე 77 ბავშვის მკურნალობა დაფინანსდა, რამაც ბევრი მათგანის ოჯახს ახალი სიცოცხლე აჩუქა.

გიორგი სირაძე
„ვერსიისთვის“ გურიიდან

ოზურგეთის მერმა თანამშრომლები სცემა და სამსახურიდან დაითხოვა

გავრცელებული ინფორმაციით, ქალაქ ოზურგეთის მერმა, ბეგი სიორიძემ მერიის ზედამხედველობის სამსახურის თანამშრომლები ემზარ მახარაძე, სულიკო ვასაძე, კახა კვაჭანტირაძე სცემა, შემდეგ განცხადებები დააწერინა და სამსახურიდან დაითხოვა.

გადამოწმებული ინფორმაციით, ნაცემია თავად ოზურგეთის მერიც.

როგორც სანდო წყარო იტყობინება, ინციდენტი გასული კვირის მიწურულს, ოზურგეთის მერიაში მოხდა, როცა ზედამხედველობის სამსახურის თანამშრომლები სამუშაო საათების შემდეგ, ერთ-ერთ ოთახში ვახშმობდნენ, რასაც მცირეოდენი ხმაური მოჰყვა. დაახლოებით 19 საათზე, ხმაურზე ქალაქის მერი შემოვარდა და უმიზეზოდ ერთ-ერთ თანამშრომელს გინება და ცემა დაუწყო.

ჩვენს მიერ გადამოწმებული ინფორმაციით, ეს უკვე ყოფილი თანამშრომელი ამ წუთებში სახლში, მძიმე მდგომარეობაში იმყოფება.

გაკვირვებულმა რამდენიმე თანამშრომელმა მერს ხელები დაუკავა, თუმცა მან მისი ცემა თავით განაგრძო, შესაბამისად მწოლიარე თანამშრომელს სახის არე აქვს დაზიანებული.

დანარჩენი ორი თანამშრომელი კი, სამსახურიდან იმიტომ დაითხოვეს, რომ ისინი მერის დაშოშმინებას ცდილობდნენ, რა დროსაც მერსაც რამდენიმეჯერ მოხვდა მუშტი თავის არეში. „ვერსიასთან“ საუბრისას, თანამშრომლები აცხადებენ, რომ „მერს ცოტა წამოარტყეს“.

„ვერსია“ კახა კვაჭანტირაძეს დაუკავშირდა, თუმცა მან კომენტარზე უარი განაცხადა, მომხდარი კი, არც უარყო და არც დაადასტურა. კომენტარი ოზურგეთის მერიის წარმომადგენლებსაც ვთხოვეთ. მერი, ბეგი სიორიძე აცხადებს, რომ ეს ინფორმაცია არასწორია. მერიის პრესსამსახურში მხოლოდ თანამშრომელთა გათავისუფლებას ადასტურებენ:

„ვადასტურებთ, რომ ზედამხედველობის სამსახურის სამმა თანამშრომელმა საკუთარი განცხადების საფუძველზე დატოვა თანამდებობა“.

ინციდენტის მეორე დღეს, ოზურგეთის ეთიკის კომისიის თავმჯდომარეც გაათავისუფლეს. ქალაქ ოზურგეთის საკრებულოს დეპუტატი პატრიოტუთა ალიანსიდან, საკრებულოს ეთიკის კომისიის აწუკვე ყოფილი თავმჯდომარე, გოჩა ძიმისტარიშვილი მიიჩნევს, რომ საკრებულოს უმრავლესობამ, ის კომისიის თავმჯდომარეობიდან უკანონოდ გადააყენა და მათ სასამართლოში უჩივის.

ძიმისტარიშვილის განცხადებით, ის ამ ეტაპზე სასარჩელო განცხადებაზე მუშაობს და სასამართლოს უახლოეს მომავალში მიმართავს. ქალაქ ოზურგეთის 15-მანდატიან საკრებულოში მის წინააღმდეგ ხმა 9 დეპუტატმა, მათ შორის მისმა თანაპარტიელმა, ნანული ორაგველიძემ მისცა. 5 მაისსვე, აღნიშნულ პოსტზე, საკრებულოს უმრავლესობამ ახალი თავმჯდომარე, ყოფილი ნაციონალი ირინა საჯაია აირჩია.

გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის ოზურგეთის ორგანიზაციის თავმჯდომარის და ქალაქ ოზურგეთის საკრებულოს ფრაქცია ,,ოზურგეთის მომავლისთის“ წევრის, თამარ ნადირიძის განცხადებით, ძიმისტარიშვილი კანონმდებლობის უხეში დარღვევით გადააყენეს: **„საკრებულოს წევრებმა ნინო გოგუაძემ, ნანული ორაგველიძემ და ნინო ტაბატაძემ 2015 წლის 23 აპრილს, განცხადებით მიმართეს ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს, რომელშიც მიუთითეს, რომ ამავე საკრებულოს სამანდატო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე გოჩა ძიმისტარიშვილი აშანტაჟებდა ფრაქცია პატრიოტთა ალიანსის წევრებს; ასევე ემუქრებოდა და იძულებით ითხოვდა მათგან სადეპუტატო ხმის გამოყენებას თავისი შეხედულებისამებრ. 5 მაისს კი, ოზურგეთის საკრებულოს სხდომაზე, ნანული ორაგველიძემ განაცხადა, რომ ძიმისტარიშვილი მას ფულს სძალავდა. განმცხადებელმა დეპუტატებმა ეს ფაქტები შეაფასეს საკრებულოს დეპუტატისა და კომისიის თავმჯდომარისთვის შეუფერებელ საქციელად.**

ჩემი აზრით, წერილობითი და ასევე ზეპირი განცხადებების შინაარსიდან აშკარად იკვეთება, რომ მათი ავტორები მიუთითებენ გოჩა ძიმისტარიშვილის მხრიდან სისხლის სამართლის კანონმდებლობით დასჯადი ქმედების სავარაუდო ჩადენაზე (სსკ-ს 181-ე მუხლი — გამოძალვა; 150-ე მუხლი — იძულება; 332-ე მუხლი — სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება). ფაქტია, ხსენებული ქმედებების თაობაზე, განმცხადებლებმა ინფორმაცია არ მიაწოდეს საგამოძიებო ორგანოებს, რაც ნიშნავს, რომ საკრებულოს ზოგიერთი დეპუტატის მხრიდან (მათ შორის განმცხადებლების) ადგილი ჰქონდა სავარაუდო დანაშაულებრივი ქმედებების დაფარვის და შეუტყობინებლობის ფაქტებს, რაც ასევე დასჯად ქმედებად ითვლება (სსკ 375-ე და 376-ე მუხლები). ხსენებული ბრალდებებისა და მოტივაციის საფუძველზე გოჩა ძიმისტარიშვილი საკრებულოს გადაწყვეტილებით გადააყენეს თანამდებობიდან. მიმაჩნია, რომ ძიმისტარიშვილის გადაყენების შესახებ საკრებულოს გადაწყვეტილება მიღებულია მოქმედი კანონმდებლობის უხეში დარღვევით, ვინაიდან საკრებულო უნდა დალოდებოდა მისი ქმედებების საგამოძიებო ორგანოს შეფასებას, სასამართლოს გამამტყუნებელ განაჩენს და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა მიეღო გადაწყვეტილება. მივმართავ პროკურატურას, დაუყოვნებლივ დაიწყოს საკრებულოს დეპუტატების განცხადებებში მითითებული ფაქტების გამოკვლევა და დანაშაულის ნიშნების დადასტურების შემთხვევაში განახორციელოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი მოქმედებები.

ოზურგეთის საკრებულოს დეპუტატებს კი და მოვუწოდებ მათ, რომ ნებისმიერი პირის, მათ შორის, საკრებულოსა და მერიის მაღალი თანამდებობის პირების მხრიდან, საკრებულოს წევრებზე ზეწოლისა და მათი იძულების შესახებ ფაქტების თაობაზე, დაუყოვნებლივ აცნობონ საგამოძიებო ორგანოებს“.

არ გახდეთ უცხოელი ექიმების მსხვერპლი — რა უნდა იცოდეთ, სანამ სამკურნალოდ საზღვარგარეთ წახვალთ

დონორული ორგანებით მოვაჭრე მექრთამე თეთრხალათიანები და საზღვარგარეთ კლინიკებში მკურნალობის რისკები

თამარ ლომსაძე
599-20-94-01

სამედიცინო ტურიზმი მთელ მსოფლიოში სულ უფრო პოპულარული ხდება, მაგრამ საქართველოში რამდენად დამკვიდრება მსგავსი პრაქტიკა, ძნელი სათქმელია. ერთი კია — სოციალურ ქსელებში პერმანენტულად გავრცელებული მძიმედ დაავადებულთა ფოტოები, რომლებიც საზღვარგარეთ მკურნალობას საჭიროებენ, უხვადაა... ძნელი სათქმელია, ახერხებენ ეს ადამიანები საჭირო თანხების მოგროვებას თუ არა, მაგრამ ისიც არანაკლებ საინტერესოა, რამდენად აქვთ მათ გარანტია, რომ უცხოეთში სწორედ ისეთ სამედიცინო მომსახურებას მიიღებენ, როგორსაც მოელიან.

მექრთამეობა, პაციენტის ჯანმრთელობით მანიპულირება, დონორული ორგანოებით უკანონო ვაჭრობა... — ასეთი მანკიერებები, როგორც ირკვევა, არც მსოფლიო მედიცინისთვისაა უცხო და ვინ იცის, იქნებ საზღვარგარეთ მკურნალობა არც ისეთი უსაფრთხოა, როგორ გვგონია. მით უმეტეს, თუ არცთუ შორეულ წარსულში გახმაურებულ სკანდალებს გავითვალისწინებთ. მაგალითისთვის მხოლოდ ისრაელისა და გერმანიის კლინიკებში დატრიალებული ხმაურიანი ისტორიებიც გამოდგება. არავინ დავობს, უცხოეთში მედიცინას უამრავი პლუსი აქვს: ხარისხიანი მომსახურება, თანამედროვე აპარატურა, მაგრამ გვხვდება უსიამოვნო მომენტებიც — დასავლელ ექიმებს შეუძლიათ პაციენტი 2-3 კვირით ზედმეტად გააჩერონ კლინიკაში, რაც დამატებითი 5-10 ათასდოლარიანი შემოსავალია და ამ მხრივ, სპეციალისტების აზრით, შვეიცარიისა და საფრანგეთის კლინიკებიც სცოდავენ.

გამორიცხული არ არის, საზღვარგარეთ მკურნალობისას ბევრად სერიოზული პრობლემებიც წარმოიშვას — მაგალითისთვის 1980 წელს, დიდ ბრიტანეთში მომხდარი სკანდალიც კმარა, როცა ექიმების გულგრილობის გამო, ვირუსული ჰეპატიტითა და შიდსის ვირუსით 1 200 პაციენტი ერთდროულად დაავადდა სისხლის გადასხმისას. ეს მხოლოდ მშრალი ფაქტებია და არაფერს ვამტკიცებთ, არც ბრალდებებს ვუყენებთ ვინმეს, უბრალოდ გვინდა მკითხველთან ერთად გავერკვეთ, რა სჯობს — უცხოელი ექიმების საცდელი კურდღლობა თუ ქართველი თეთრხალათიანებისა.

კიდევ ერთი სკანდალი არცთუ შორეულ წარსულში ისრაელში მოხდა, სადაც ადგილობრივი ერთ-ერთი ელიტური კლინიკა „იხილოვი“ წარმატებით სძალავდა პაციენტებს ათასობით დოლარს და უსინდისოდ თანხმდებოდნენ უიმედო პაციენტების ოპერაციებზეც, ოღონდაც საკუთარი ჯიბისთვის რაც შეიძლება მეტი „მწვანეები“ შეემატებინათ. ყველაფერი კი მაშინ გამოაშკარავდა, როდესაც ერთ-ერთი ჟურნალისტი, სამედიცინო აგენტის სახელით დაუკავშირდა ბავშვთა ნეიროქირურგს — შლონი კონსტანტინის და დაავადებული ბავშვისთვის ოპერაციის გაკეთება სთხოვა. „იხილოვის“ ქირურგი ვერც კი წარმოიდგენდა, რომ მას ფარული კამერით იღებდნენ და მეტად შეუვალი იყო: „ოპერაცია დაჯდება 35 ათასი დოლარი. აქედან 20 ათასს საავადმყოფოს ჩაურიცხავთ, დანარჩენ ფულს კი „ქეშად“ ჩამოიტანს პაციენტი“!

არადა, ისრაელის კანონების მიხედვით, ექიმები ხელფასზე მუშაობენ და კატეგორიულად ეკრძალებათ ნებისმიერი თანხის აღება. ამ ფაქტმა ისრაელის სამედიცინო სფეროს, რომელიც ყოველთვის პრეტენზიას გამოთქვამდა პირველობაზე და ირწმუნებოდა, რომ „ჰაი“ კლასის მომსახურებას სთავაზობდა ნებისმიერ მსურველს, იმიჯი სერიოზულად შეულახა და მოგვიანებით, მას გერმანიამაც მიბაძა — დღემდე გაურკვეველია, შეძლო თუ არა ქვეყანამ დონორული სკანდალის „ჩაფარცხვა“, თუმცა იგი მსოფლიო სამედიცინო ექსპერტებმა ყველაზე ხმაურიანად შერაცხეს ტრანსპლანტოლოგიის ისტორიაში. საქმე ის გახლავთ, რომ ორ გერმანულ კლინიკას ადანაშაულებდნენ გარკვეული თანხის სანაცვლოდ, სიების გაყალბებაში — ისინი ურცხვად აყალბებდნენ სამედიცინო დოკუმენტაციასა და ლაბორატორიულ დასკვნებს, რათა პაციენტების მდგომარეობა კრიტიკულად წარმოეჩინათ და მათაც ურიგოდ შეძლებოდათ დონორული ორგანოების მიღება. სამედიცინო მაქინაციებში ორი კლინიკა იყო ჩართული — გეტინგენის საუნივერსიტეტო და რეგენსბურგის კლინიკები. არადა, 12 ათასი პაციენტი თვეობით, ხან კი წლობით ელოდება დონორულ ორგანოებს და მათ ხარჯზე ფულის კეთება სისხლის სამართლის დანაშაულია. მიუხედავად იმისა, რომ სასჯელის განსაზღვრა სამართალდამცავთა პრერეგატივაა, ფაქტია, დონორული ორგანოებით ვაჭრობა მსოფლიოში დამკვიდრებული პრაქტიკაა.

ორგანოების ტრანსპლანტაციის გერმანული ფონდის თანამშრომელი ულრიკე ვირგესი გაზეთ რანკფურტერ ლლგემეინე ძეიტუნგ-თან ინტერვიუში ადასტურებს, რომ ამ სკანდალების გამო, დონორობაზე ბევრმა უარი თქვა. მართალია,

დონორული ორგანოებით ვაჭრობა გერმანიაში კანონითაა აკრძალული, მაგრამ ღარიბი ქვეყნების ხარჯზე, ეს ბიზნესი ყვავის. ცნობილია ფასებიც — ცოცხალი დონორის თირკმელი ინდოეთიდან ან აფრიკიდან 1000 ევრომდე ღირს, თურქეთიდან 8000 ევრომდე, ხოლო აშშ-ში ორგანოებით მოვაჭრეები ერთი თირკმლიდან 25-დან 250 ათას დოლარამდე შემოსავალს იღებენ. ერ შპიეგელ-მა კი კიდევ ერთი სკანდალი გაასაჯაროვა — ისრაელში მცხოვრები უკიდურესად გაჭირვებული ემიგრანტი ქალი დათანხმდა, გაეღო საკუთარი თირკმელი გარკვეული თანხის სანაცვლოდ, რომელიც გერმანელი მომხმარებლისთვის იყო განკუთვნილი. დონორს 8 100 ევრო გადაუხადეს, ხოლო მომხმარებელმა დონორულ თირკმელში 82 ათასი ევრო გადაიხადა.

ასეთი სკანდალური ფაქტი ინტერნეტში უამრავია, თუმცა ვიმეორებთ, არაფერს ვამტკიცებთ და არც ვინმეს დისკრედიტებას ვცდილობთ, უბრალოდ საინტერესოა, რა საფრთხის წინაშე დგებიან საქართველოს მოქალაქეები, როდესაც დამოუკიდებლად ირჩევენ უცხოეთში სამედიცინო დაწესებულებას. „ვერსიამ“ ამ საკითხზე პასუხების მისაღებად სამედიცინო ტურიზმისა ექსპერტსა და სამედიცინო ტურიზმის კომპანია „მედტურჯორჯიას“ დირექტორს, **პაატა რატიანს** მიმართა:

— ზოგადად, უნდა გვესმოდეს, რომ სამედიცინო მომსახურების მიღებისას მოსალოდნელია გართულებები, გაუთვალისწინებელი პროცედურები, რაც იწვევს წინასწარ დაგეგმილ პროგრამაში ცვლილებებს (მათ შორის ფინანსური ხასიათისაც). არ არსებობს კლინიკა (რაც უნდა თანამედროვე და განვითარებული იყოს), სადაც არ ხდება საექიმო შეცდომა. ასე რომ, აბსოლუტურად უსაფრთხო მკურნალობა არსადაა. ზოგ შემთხვევებში არსებობს ლეტალური გამოსავლის ალბათობაც და ამისგან დაზღვეული არავინაა. უბრალოდ, საჭიროა, პაციენტი იყოს ინფორმირებული ამის შესახებ წინასწარ.

პირადად, ყოველდღიურად ვატარებ პროფესიონალურ კონსულტაციებს. არცთუ იშვიათად საქმე გვაქვს ხოლმე საზღვარგარეთ მკურნალობასთან დაკავშირებით პაციენტთა ან მათ ახლობელთა არასწორ მოლოდინთან და ყველაფერში გარკვევის შემდგომ ისინი უკეთ ყალიბდებიან, რა არჩევანი უნდა გააკეთონ და როგორ დაგეგმონ სწორად უცხოეთში სამედიცინო მომსახურების მიღება.

— პირველ რიგში, პაციენტმა რა უნდა გაითვალისწინოს მოსალოდნელი საფრთხეების თავიდან ასაცილებლად.

— აუცილებელია პროფესიონალური მომსახურების მიღება და პაციენტის საჭიროებების შესწავლა სწორი არჩევანის გაკეთების მიზნით.

საქართველოს მოქალაქეებმა, უცხოეთში მკურნალობის გადაწყვეტილების მიღებისას, აუცილებლად უნდა მოგვმართონ ამ საქმიანობით ოფიციალურად დაკავებულ კომპანიებს, სადაც მათ გაარკვევენ ყველა ნიუანსსა და სპეციფიკაში. ნუ ენდობიან არაოფიციალურ, გაურკვეველ კავშირებს, კერძო პირებსა თუ ინტერნეტში ფართოდ გავრცელებულ სარეკლამო განცხადებებს.

— თუ არსებობს გარანტიები, რომ საქართველოდან ჩასული ადამიანი სათანადო მკურნალობას მიიღებს და გარკვეული მაქინაციების მსხვერპლი არ აღმოჩნდება, არ უმკურნალებენ თუნდაც უხარისხო მედიკამენტებით?

— სამედიცინო მომსახურების ხარისხზე პასუხისმგებელია უშუალოდ მისი მიმწოდებელი უცხოური კლინიკა. მთავარია, ეს კლინიკა იყოს შესაბამისი აკრედიტაციისა და საერთაშორისო სერტიფიკატის მფლობელი.

— დღეს ასე მოდური რატომ გახდა უცხოეთში მკურნალობა, თუნდაც ქიმიოთერაპიის გაკეთება. ამბობენ, მაგალითად ეს მომსახურება საქართველოსთან შედარებით ბევრად იაფიაო... თუ მართლა ასეა, თქვენი აზრით რა იწვევს ფასთა ასეთ სხვაობას?

— საქართველოდან საზღვარგარეთ მკურნალობაზე მოთხოვნის ზრდას ძირითადად განაპირობებს უკეთესი სამედიცინო მომსახურების ხარისხის მიღების სურვილი. ამ მხრივ, ჩვენზე მოწინავე არაერთი ქვეყანაა და უფრო განვითარებული ჯანდაცვის სისტემაა. ასევე მრავალფეროვანია არჩევანი ფასებთან მიმართებაში.

რაც შეეხება კონკრეტულად ქიმიოთერაპიას, ამ მხრივ საზღვარგარეთ უფრო მაღალია მომსახურების დონე და მიღწეული შედეგები. სწორედ ეს განაპირობებს მასზე მოთხოვნის ზრდას ჩვენს პაციენტებში და არა დაბალი ფასი.

— და მაინც, რა განაპირობებს ფასთა სხვაობას?

— ფასების მხრივ უცხოეთში არჩევანი ძალიან მრავალფეროვანია. სამედიცინო ტურიზმის ის მიმართულება, როდესაც პაციენტები მიემგზავრებიან საზღვარგარეთ ამა თუ იმ სამედიცინო სერვისზე თანხების საგრძნობი ეკონომიის მიზნით, ფართოდაა გავრცელებული აშშ-ში და დასავლეთ ევროპის ქვეყნებში. ფასების სხვაობას მრავალი მიზეზი განაპირობებს. მსოფლიოში განსხვავებულია სამედიცინო მომსახურებაზე ფასთწარმოქმნის სისტემები და ჯანდაცვის ეკონომიკის სახეები.

მწარე რეალობა თუ საყოველთაო ჯანდაცვის დისკრედიტაცია

სად ქრება ჯანდაცვის სამინისტროდან კლინიკებისთვის გადარიცხული თანხა?

თამარ ლომსაძე
599-20-94-01

საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა ხელისუფლების ერთ-ერთ მიღწევად მიიჩნევა და პრინციპში, ასეცაა — ქვეყნის მოქალაქეთა უმრავლესობა გარკვეული შეღავათებით რომ სარგებლობს, მართლაც არაა უმნიშვნელო ამბავი, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ვიღაცები გამუდმებით უკმაყოფილოები არიან, მედიკამენტებიც გაძვირდა, ვიღაცამ 100%-იანი დაფინანსება ვერ მიიღო, ვიღაცის ჯიბეს კი საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამამ სერიოზულად დაარტყა — დაზღვევა ნოზოლოგიების უმრავლესობას აფინანსებს და პაციენტებსაც ნაკლებად უწევთ სამედიცინო დაწესებულებებისთვის თანხის გადახდა. ბუნებრივია, კლინიკები იმ თანხებზე არიან დამოკიდებულნი, რომელიც ჯანდაცვის სისტემამ უნდა ჩაურიცხოს.

„ვერსიას“ კი ერთ-ერთი კლინიკიდან ანონიმურად მიაწოდეს ინფორმაცია, რომ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ამოქმედებისთანავე, რთული ფინანსური მდგომარეობა შეიქმნა. კერძოდ, თანხები დროულად არ ირიცხებოდა, შესაბამისად, ადმინისტრაცია პერსონალზე ხელფასს რამდენიმე თვის დაგვიანებით გასცემდა და სოლიდური დავალიანებაც დაუგროვდა.

ალბათ უკეთესი მომავლის იმედით, კლინიკის ადმინისტრაცია ამ ინფორმაციას არ ასაჯაროებდა, თუმცა პირად საუბარში აღიარეს, რომ მათ მდგომარეობაში სხვა სამედიცინო დაწესებულებებიც არიან — დროულად ვერ გასცემენ პერსონალის ხელფასს და მეტიც — საკმაოდ უჭირთ სამედიცინო ინვენტარის შეძენა, თუნდაც ისეთი ელემენტარულის, როგორიცაა პირბადე და ბამბა. ყოფილა შემთხვევა, მწვავე რესპირატორული ვირუსით საავადმყოფოში შესული პაციენტისთვის პირველადი დახმარების აღმოჩენისას, პირბადის არქონის გამო, ღამის ცვლის ექთნებიც დავირუსებულან...

სწორედ ეს იყო მიზეზი, რის გამოც ჯანდაცვის მინისტრი დავით სერგეენკო საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში ჩართული კლინიკების წარმომადგენლებს შეხვდა და განაცხადა, რომ „შესაძლოა, ადგილი აქვს მიზანმიმართულ ქმედებებს, რომელიც საყოველთაო ჯანდაცვის დისკრედიტაციისკენ არის მიმართული“.

შეხვედრის მთავარი თემა კლინიკების წინაშე არსებული პრობლემები და პროგრამის ფარგლებში გაწეული მომსახურების ანაზღაურება იყო. შეხვედრას ესწრებოდნენ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში ჩართული კლინიკების წარმომადგენლები, რომლებიც თბილისში არიან რეგისტრირებულები.

დავით სერგეენკომ აღნიშნა, რომ ჯანდაცვის საყოველთაო პროგრამის ამოქმედებიდან დღემდე, სახელმწიფო სამედიცინო დაწესებულებების წინაშე არსებულ ყველა ვალდებულებას ასრულებს სახელმწიფო: „კლინიკებს პროგრამის ფარგლებში გაწეული მომსახურების ანაზღაურება ყოველთვიურად დადგენილების პირობების მიხედვით, დაგვიანების გარეშე ერიცხებათ. დადგენილების პირობების მიხედვით, სამინისტროს შეუძლია საბუთები წარმოდგენიდან მაქსიმუმ 45 სამუშაო დღის ვადაში გადაურიცხოს მათ კუთვნილი თანხა. თუმცა უმრავლეს შემთხვევაში თანხის გადარიცხვას სამინისტრო მაქსიმალურ დროზე გაცილებით ადრე ახდენს“.

მინისტრმა არც ის გამორიცხა, რომ დავალიანება, რომელზეც კლინიკები საუბრობენ, წარმოშობილია 2012 წლამდე, როდესაც თანხას კერძო სადაზღვევო კომპანიები უხდიდნენ.

ჯანდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში 298 კლინიკაა ჩართული. დღეის მდგომარეობით კლინიკებისთვის სულ 597 179 028 ლარია გადარიცხული.

თანხის დაგვიანება არც კლინიკების ხელმძღვანელებმა დაადასტურეს, თუმცა ფაქტია — ინფორმაცია გავრცელდა და როგორც წესი, კვამლი ცეცხლის გარეშე არ ჩნდება. ერთია მხოლოდ — იქნებ ვიღაცას მართლაც აწყობს მედპერსონალისთვის ხელფასების დაგვიანება და მერე ხელის ჯანდაცვის სამინისტროსთვის შეწმენდა? ან უარესი — არასასურველი თანამშრომლების სამსახურიდან გათავისუფლება კი არა, უვადო შვებულებაში გაშვება, რომ მათ კომპენსაცია არ მოითხოვონ და ამ შემთხვევაც ხელი ჯანდაცვის სამინისტროსკენ გაიშვიროს — დაზღვევის თანხებს არ რიცხავენო მაშინ, როცა მინისტრი ამბობს, რომ თანხები ვადაზე ადრე ირიცხება. არსებულ ვითარებაში მტყუან-მართლის გარკვევა ადვილი სულაც არ არის — ან სამინისტრო მართლა რიცხავს თანხებს და ვიღაც ადრესატამდე, გზიდან „ტეხავს“, ან თავად კლინიკებს სურთ ხარჯის შემცირება და ხელს ჯანდაცვის სამინისტროსკენ იშვერენ. ასე რომ, ჯერ კიდევ გასარკვევია სამინიტრო-კლინიკებს შორის დაკარგული, ქვეყნის მოსახლეობამ უნდა მოძებნოს თუ ზემდგომ ინსტანციებში შეიწუხებს ვინმე თავს და გაარკვევს, რა ხდება რეალურად!

ფოტოგრაფთა ასოციაცია კულტურის სამინისტროს წინააღმდეგ

ნინი ჯაფარიძე
571-17-00-02

საქართველოს ფოტოგრაფთა ასოციაცია კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს უპირისპირდება. ასოციაციაში განმარტავენ, რომ უწყებამ რეგიონული მნიშვნელობის პროექტის დაფინანსებაზე უარი განაცხადა. ფოტოპროექტი, რომელშიც, საქართველოს გარდა, 5 ქვეყანა — უკრაინა, მოლდოვა, აზერბაიჯანი, სომხეთი და ბელორუსი მონაწილეობს, ევროკავშირის თანადაფინანსებით უნდა განხორციელდეს. „აღმოსავლეთ პარტნიორობის საერთაშორისო ფოტოალბომისთვის“ ფოტოგრაფთა ასოციაცია კულტურის სამინისტროსგან მხოლოდ 6,300 ევროს ოდენობის თანხას ითხოვდა. ეს, პროექტის სრული ღირებულების მხოლოდ 20%-ს შეადგენდა, თუმცა სამინისტროში უარი განუცხადეს და მიზეზად „ორგანიზაციული მხარის მოუწესრიგებლობა“ დაასახელეს. „ვერსია“ აღნიშნული საკითხით დაინტერესდა და საქართველოს ფოტოგრაფთა ასოციაციის გამგეობის წევრს, ნინო მღებრიშვილს დაუკავშირდა.

რატომ არ დააფინანსა მიხეილ გიორგაძის უწყებამ ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესი პროექტი

— როდის მიმართეთ კულტურის სამინისტროს და რატომ გითხრეს უარი პროექტის დაფინანსებაზე?

— კულტურის სამინისტროს სათანადო დოკუმენტაციით 10 მარტს მივმართეთ. მართალია, უწყებაში ამბობენ, რომ საქმის კურსში არ იყვნენ და ორგანიზაციული მხარის მოუწესრიგებლობას ასახელებენ, მაგრამ ასე არ არის — პროექტის შესახებ სამინისტროში ჯერ კიდევ 2 წლის წინ, 2013 წლის მაისში იცოდნენ. კულტურის მინისტრის მოადგილე მაშინ მარინე მიზანდარი იყო. მაშინ შეხვედრის ინიციატორი თავად სამინისტრო გახლდათ. თავად შეგვკრიბეს ამ პროექტებში მონაწილე ქართველი პარტნიორები. თანადაფინანსებასთან დაკავშირებით წერილის გაგზავნის პარალელურად, სამინისტროში პერიოდულად ვრეკავდით კიდეც. გვთხოვეს, დამატებითი ინფორმაცია წარგვედგინა და ასეც მოვიქეცით. სიმართლე გითხრათ, მათი მიზეზი ვერ გავიგე. რას ნიშნავს ორგანიზაციული მხარის მოუწესრიგებლობა? სხვაგვარად როგორ უნდა წარგვედგინა დოკუმენტაცია? სამინისტროს პოზიცია, მხოლოდ ახალგაზრდა და ნიჭიერი ქართველი ფოტოგრაფების ხელშეწყობაზე უარს კი არ ნიშნავს, არამედ საქართველოს, როგორც აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონის წევრი ქვეყნის დაკნინებას საერთაშორისო საზოგადოებაში.

— რატომ არის აღმოსავლეთ პარტნიორობის საოჯახო ფოტოალბომი ასეთი მნიშვნელოვანი და რა შესაძლებლობას დაკარგავს საქართველო, თუკი პროექტს გაეთიშება?

— ფოტოალბომს პოლიტიკური და სოციალურ-კულტურული მნიშვნელობა აქვს. პროექტი საუკეთესო შესაძლებლობაა, საქართველო მაქსიმალურად პოზიტიური კუთხით წარგვედგინა საერთაშორისო საზოგადოებისთვის, მათ შორის, უცხოელი ინვესტორებისთვის. ალბომი უნდა დარიგებულიყო საერთაშორისო ორგანიზაციებში, უწყებებში, საელჩოებში. ფოტოალბომის მიზანი ევროკავშირსა და საერთაშორისო თანამეგობრობაში საქართველოს მაქსიმალურად პოზიტიური კუთხით წარმოდგენა იყო. ვგეგმავდით, მაისის შუა რიცხვებში ფოტოალბომი თბილისში მსოფლიო ბანკის მიერ ორგანიზებულ ბიზნესფორუმზეც წარგვედგინა. ალბომის დარიგება რიგის სამიტზეც იგეგმებოდა, თუმცა...

— რას აპირებთ, თუ კულტურის სამინისტრო არ შეცვლის გადაწყვეტილებას და პროექტის განხორციელებისთვის საჭირო თანხას არ გამოყოფს?

— მაქსიმალურად ვეცდებით, მოვიძიოთ თანხები. მივმართავთ სხვადასხვა ორგანიზაციას. არ გვინდა, საქართველო ამ ალბომის გარეშე დარჩეს. სიმართლე გითხრათ, უარს არ ველოდით. გვეგონა, ამ პროექტში სახელმწიფო ჩაერთვებოდა, მითუმეტეს საქმე ეხება აღმოსავლეთ პარტნიორობას, ევროპაში ინტეგრაციას და ევროპულ სტრუქტურებთან დაახლოებას. შესაძლოა, გულუბრყვილოდ გვეგონა ასე, მაგრამ ეს ხომ ქვეყნისთვის კეთდებოდა.

იმის გასარკვევად, რატომ ვერ დაფინანსდა პროექტი, „ვერსია“ კულტურის სამინისტროს დაუკავშირდა. უწყებაში განმარტეს, რომ თანადაფინანსებაზე უარის მიზეზი სახსრების უქონლობაა — განაცხადის შემოტანის დროს კვარტლის ბიუჯეტი უკვე გაწერილი იყო. როგორც აღმოჩნდა, უწყებამ გამონაკლისი ვერც იმის გამო დაუშვა, რომ პროექტი ევროკავშირთან თანამშრომლობით ხორციელდებოდა. „ვერსიის“ შეკითხვებს, კულტურის სამინისტროს, კულტურის პოპულარიზაციის სამმართველოს უფროსმა **გიორგი აფციაურმა** უპასუხა.

— ბატონო გიორგი, როდის მიმართა თქვენს უწყებას ფოტოგრაფთა ასოციაციამ და რატომ უთხარით უარი პროექტის დაფინანსებაზე?

— განაცხადი მარტში შემოიტანეს. პროექტის დაფინანსება სახსრების უქონლობის გამო ვერ მოხერხდა. მოხდა რესტრუქტურიზაცია. ჩვენ გადავდივართ ახალ, უფრო განვითარებადი ქვეყნების სტილზე, რომელიც გაცილებით ეფექტურია, მათ შორის პროექტების განხილვისა და მათი დაფინანსების კუთხითაც. ახალი მიდგომა ასეთია — წინასწარ, ერთი წლით, ან რამდენიმე თვით ადრე ვგეგმავთ ყველაფერს. როცა ამ ორგანიზაციამ განაცხადი შემოიტანა ბიუჯეტი უკვე გაწერილი იყო.

— კი, მაგრამ ამ პროექტის შესახებ სამინისტრო 2 წლით ადრე, 2013 წლის მაისიდან იყო ინფორმირებული.

— ამასთან დაკავშირებით ვერაფერს გეტყვით. კულტურის სამინისტროში 2014 წლიდან ვმუშაობ. განაცხადის შემოტანის შემდეგ ასოციაციის წარმომადგენლებს შევხვდით. მათ, არც კი უხსენებიათ, რომ ამაზე 2013 წელს იყო შეთანხმება. ახალ პროექტზე გვესაუბრნენ.

— თუ წინასწარ იცოდით, რომ პროექტის თანადაფინანსებას ვერ შეძლებდით, რაღატომ მოთხოვეთ ასოციაციას დამატებითი ინფორმაციის წარდგენა და მაშინვე რატომ არ განუმარტეთ, რომ ბიუჯეტი უკვე გაწერილი იყო?

— ჩვენ გვქონდა რამდენიმე კითხვა. თანადაფინანსებასთან დაკავშირებით არ იყო მითითებული გარკვეული დეტალები და ეს ინფორმაცია მოვითხოვეთ. მაქსიმალურად ვცდილობდით, რამენაირად გამოგვვენახა ეს თანხა.

— რა თანხის გადახდას შეძლებდა უწყება?

— საბოლოოდ, მოთხოვნილი თანხა იყო დაახლოებით 16 ათას ლარამდე. როდესაც გადავხედეთ ბიუჯეტს, მივხვდით, რომ ამდენს ვერ მოვიძიებდით. შეგვეძლო დაგვეფინანსებინა უფრო ნაკლები. ზუსტად აღარ მახსოვს, ალბათ 10 ათას ლარამდე. ახლა ესეც ვეღარ მოხერხდება, რადგან დაფინანსება კვარტლურად ხდება.

— პროექტი ევროკავშირის თანადაფინანსებით ხორციელდება. კულტურის სამინისტროს პოზიცია საქართველოს საერთაშორისო პრესტიჟზე უარყოფითად არ აისახება და ამ ფონზე, არის თუ არა შესაძლებელი გამონაკლისის დაშვება?

— მინდა დავადასტურო, რომ ეს უმნიშვნელოვანესი პროექტია. ჩვენ მხარს ვუჭერთ მას, მაგრამ გამონაკლისის დაშვება არ არის სწორი ფორმულირება. გამონაკლისის დაშვებით შესაბამისი სახსრები ვერ გაჩნდება. ჩვენ გვაქვს უკვე დამტკიცებული ბიუჯეტი, რომელიც კვარტლურად უნდა დავხარჯოთ.

— კულტურის სამინისტრო ხშირად აფინანსებს ფოტოხელოვნების განვითარებისთვის საჭირო პროექტებს და ზოგადად, არის თუ არა ეს სფერო თქვენთვის პრიორიტეტული?

— ამ მიმართულებით სამინისტრო ბევრ მნიშვნელოვან პროექტს აფინანსებს. მაგალითად, დავაფინანსეთ თბილისის ფოტოფესტივალი, „ქოლგა თბილისი ფოტო“. ფოტოხელოვნება ჩვენთვის პრიორიტეტულია.

— თქვენთან დაკავშირებას სამი დღე ვცდილობდით. დამრჩა შთაბეჭდილება, რომ კულტურის სამინისტროში არ სურდათ ამ თემაზე საუბარი. ასეა?

— სამი დღე ცდილობდით დაკავშირებას? იცით, ძალიან დატვირთული რეჟიმი მაქვს. უმნიშვნელოვანესი შეხვედრები და თათბირები გვაქვს. დელეგაციებია ჩამოსული. მსურდა, თქვენთან ნორმალურ და მშვიდ რეჟიმში მესაუბრა.

თბილისი ბრიტანელი ფოტოგრაფის ობიექტივში

მაკა ლომაძე
555-27-95-13

ბრიტანეთის საბჭოს მოწვევით, „ქოლგა თბილისი ფოტო“ კონკურსთან თანამშრომლობის ფარგლებში, საქართველოს ცნობილი ბრიტანელი ფოტოხელოვანი, ბრაიან გრიფინი ესტუმრა. ეს მისი მეორე ვიზიტია. გამოფენა სახელწოდებით „კომპრომისი არ იქნება“, 3-7 მაისს, თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში გაიმართა. 1-2 მაისს, მან გამართა ვორქშოპები პორტრეტების თემაზე, რომლებშიც მონაწილეობა როგორც პროფესიონალ, ისე მოყვარულ ფოტოხელოვანებს შეეძლოთ.

საქართველოში პირველად 1989 წელს ჩამოვიდა. ეს წმინდა სამუშაო ვიზიტი იყო და არავითარი კავშირი მაშინდელ ცხელ პოლიტიკურ პროცესებთან არ ჰქონია. ცნობილი იაპონური მოდების სახლის „კომ დე გაღსონის“ დაკვეთით, ფოტოსესია ჩაატარა, რომელშიც მოდელების ნაცვლად, რიგითმა მოქალაქეებმა მიიღეს მონაწილეობა. „ვერსიას“ ფოტოხელოვანი გამოუტყდა, რომ ეს მისი პირველი ასეთი ექსპერიმენტი იყო. ჩვეულებრივ, უყვარს დადგმული ფოტოების გადაღება, რადგან როგორც ამბობს, სიამოვნებს, როცა ტვინი მუშაობს.

„თუ შენში ტალანტი არ არის, დიდი ფოტოგრაფი ვერ გახდები. ეს უფლისგან მომადლებული ნიჭია. ეს არ ისწავლება. ვერც კარგი აპარატურა გიშველის“, — ამბობს ფოტოხელოვანი. მიაჩნია, რომ საქართველოში 26 წლის მერე კვლავ ჩამოსვლა არაჩვეულებრივია: **„1989 წელს ინგლისიდან საქართველოში მოსკოვის გავლით ჩამოვედი. დღეს სულ სხვანაირი თბილისი დამხვდა. მაშინ, ამდენი ტრანსპორტი არ იყო. სიხალვათე იგრძნობოდა. რუსეთში ბრეჟნევის დროს ვიყავი. როცა მოსკოვში 1989 წელს ჩავედი, ის ცოტა ძველი დროის პარიზს ჰგავდა. თბილისი კი მაშინ 1974 წლის მოსკოვს მაგონებდა. მოსკოველ ტაქსისტს 200 ცალი „მარლბოროს“ სიგარეტი მივეცით და ამის საფასურად, მთელი დღე აქეთ-იქით დაგვატარებდა“.**

იმ დროიდან ახსოვს, რომ ფიროსმანის სახლში იყო და ჯონჯოლი მიირთვა.

ისაუბრა განსხვავებებზეც, 1970-80-იანი და დღევანდელი სამუშაო გარემოს შესახებ. **„მაშინ ვინც გლობალურად ჩანდა, ნამდვილი ვარსკვლავი იყო. არ იყო კომპიუტერები, ამდენი ტექნიკა და უნდა ყოფილიყავი მეტისმეტად ჭკვიანი, ტექნიკურად უძლიერესი, რომ იგივე შედეგი დაგედო. სამაგიეროდ, კვირაში ერთ „რენჯ-როვერს“ იყიდდი და ერთ წელიწადში შესაძლოა, თანამედროვე ხელოვნების მუზეუმიც კი ხელში ჩაგეგდო. ეს სუპერვარსკვლავობას უდრიდა. დღეს, ფოტოგრაფია ნაკლებად ინდივიდუალური გახდა ტექნიკის განვითარებასთან ერთად. ის ყველასთვის ხელმისაწვდომიცაა და შესაბამისად, პროფესიონალურმა სტანდარტებმაც დაიწია. მე მაინც ძველებურად ვმუშაობ. არის გიჟურად ძვირი კამერები, მათ შორის ჩემიც, მაგრამ რაც უნდა იაფი იყოს, ცუდი კამერა არ არსებობს“.**

ამბობს, საშუალება რომ ჰქონოდა, სიამოვნებით გადაიღებდა სამუელ ბეკეტს, მარლენ დიტრიხსა და კაფკას. მისი აზრით, ხელოვნების სხვა დარგებისგან განსხვავებით, ფოტოგრაფიას კომპიუტერულ ხანაში უპირატესობა აქვს: **„გადაიღებ და წამში შეგიძლია, შედეგით დატკბე“.** მიუხედავად ამისა, ახალგაზრდებს არ ურჩევს გახდნენ ფოტოხელოვანები, თუ ამ საქმისთვის სიცოცხლის მიძღვნა არ სურთ: **„ჩემთვის, სხვა არაფერი არსებობს ამქვეყნად. გული არ უნდა დაგწყდეს, რომ კარგ „აუდის“ ვერასდროს იყიდი, რადგან შემოქმედი ხარ და ნაშოვნი ფული, ისევ შენი პროექტებისთვის გინდა. ასე რომ, არჩევანი თქვენზეა. მე ინჟინერი ვიყავი თავიდან“.**

2003 წელს მონაწილეობდა კამპანიაში, რომლის მიზანიც იყო ბირმინჰემი ევროპული კულტურის დედაქალაქად გამოეცხადებინათ. ამ კამპანიის ფარგლებში, 2005 წელს, რეიკიავიკის (ისლანდია) ხელოვნების მუზეუმში მისი ნამუშევრების რეტროსპექტიული გამოფენა მოეწყო. 2009 წელს ის დერბის ფოტოფესტივალს ჩაუდგა სათავეში. იმავე წელს, ლორდ კოესა და დეიმ ქელი ჰოლმსთან ერთად, ლონდონის ოლიმპიადის აღსანიშნავად, ფოტო პროექტი „გზა 2012 წლისკენ“ პორტრეტების ნაციონალურ გალერეაში გამოფინა. 2010 წელს გაიმართა მისი პორტრეტების ყველაზე მნიშვნელოვანი რეტროსპექტივა, სახელწოდებით „პირისპირ“. 2013 წლის სექტემბერში, თავისი კარიერისთვის სამეფო ფოტოგრაფიული საზოგადოებისგან „საუკუნის მედალი“ მიიღო. 2013 წელს, მარსელ პროვანსის ევროპული კულტურის დედაქალაქად გამოცხადებასთან დაკავშირებით, ბრაიან გრიფინს ამ ქალაქის მხარდასაჭერი გამოფენების გამართვა შესთავაზეს. ამავე დროს, ბირმინგემის ახალი ბიბლიოთეკის მშენებლობასა და გახსნასთან დაკავშირებით, მიიღო პროექტის „საცნობარო სამუშაოები“ შეკვეთა, რომელიც წიგნის გამოცემას და გამოფენის მოწყობას გულისხმობდა. 2013 წლის ოქტომბერში, ბოლონიაში (იტალია) მისი კორპორატიული ფოტონამუშევრების რეტროსპექტივა გაიმართა. 2014 წლის 3 მარტს, ქალაქის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის, ბირმინჰემის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდება მიიღო.

მარგარეტ ტეტჩერთან მუშაობას მაინც განსაკუთრებული ემოციით იხსენებს და მას მსოფლიოს ყველაზე გავლენიან ქალბატონს უწოდებს: **„ასეთი თავდაჯერებული ადამიანი არ მინახავს, ყოვლისშემძლე იყო“.** ასევე, გადაიღო ჯერემი აირონსი, დონალდ საზერლენდი... მისი საუკეთესო სამუშაო ჟანრებია: ნატურმორტი, პეიზაჟი და პორტრეტი.

„ვერსიის“ კითხვაზე, მაინც რამ გამოიწვია „კომ დე გაღსონის“ საქართველოთი დაინტერესება 1989 წელს, ამგვარად უპასუხა: **„ნიკო ფიროსმანი და ქართული სამოსი იმ წელს, „კომ დე გაღსონის“ შთაგონება აღმოჩნდა. ეს სერია კონტრასტებითაა საინტერესო: არის კომუნისტური საქართველოს პერიოდი, ნაციონალურ სამოსში გამოწყობილი ქართველები და იაპონური პროექტი. თუ დაფინანსებას მოვიძიებ, სიამოვნებით ჩამოვალ, რამდენიმე თვე დავრჩები, წიგნს გამოვცემ, ან გამოფენას მოვაწყობ. არაჩვეულებრივი პეიზაჟია აქ და ასევე, არაჩვეულებრივად ინდივიდუალური გარეგნობა გაქვთ. საქართველოს შესწავლა ძალიან მაინტერესებს“.**

„მოხარულები ვართ, რომ ქოლგა თბილისი ფოტო ყოველწლიურად სულ უფრო მრავალფეროვან და საინტერესო ინოვაციებს სთავაზობს ხელოვნების მოყვარულებს და ჩვენი თანამშრომლობის წარმატებაც სწორედ ამითაა განპირობებული“, — განაცხადა ბრიტანეთის საბჭოს დირექტორმა ზაზა ფურცელაძემ.

დიდი ბრიტანელი ფოტოხელოვანი პოზებს აკვირდება, როგორც მხატვარი. მოიხიბლა, რაც ნახა ნაციონალურ მუზეუმში, რადგან მიაჩნია, რომ ისინი ქართველ მხატვრებში განსხვავებულია და ამავე დროს, ახლოა საკუთარ ნამუშევრებთან. **„აუცილებლად დავბრუნდები, რადგან მომწონს ქართველების გარეგნობა და კარგი სურათები იოლად გამოვა. ასევე, მომწონს თქვენი თანამედროვე არქიტექტურა“,** — დარწმუნებით გვეუბნება **ბრიტანელი ფოტოხელოვანი ბრაიან გრიფინი**.

ჩხუბი ციხის აბანოში და „საქათმისთვის“ განწირული პატიმარი

როგორ ამოიცნო დათომ დის გამაუპატიურებელი სვირინგით

პატიმარი №0578

ძველი გამოთქმა, „მთა მთას არ შეხვდება, კაცი კაცს კი ნებისმიერ დროს შეიძლება შეხვდეს“, ყველაზე კარგად ციხეს მიესადაგება — შესაძლოა, ისეთ ვინმეს გადაანყდე, დავიწყებული რომ გყავს. მაგალითად, რიგითი პატიმრები ვერასოდეს წარმოიდგენდნენ, რომ შესაძლებელი იყო მათ გვერდში პირველი პრეზიდენტის შვილს, ცნობილ ბიზნესმენს ან ცნობილ პოლიტიკურ სახეს დაეძინა, თუმცა...

ციხეში აბანო ის ადგილია, სადაც, ჰიგიენის გარდა, სიფრთხილის დაცვაც საჭიროა. რაც უნდა ეცადოს ადმინისტრაციაც და პატიმრებიც, აბანოში ანტისანიტარია ბოლომდე მაინც არ აღმოიფხვრება. იატაკი „გაზეთილ-გაპოხილია“ და ფეხი სრიალებს. ეს გასაკვირი არცაა, 24 საშხაპის ქვეშ დღეში 500-მდე პატიმარი ბანაობს, პატარა საჰაეროდან ორთქლი არ გადის და ხშირად ერთ მეტრში კაცის დანახვა შეუძლებელია. საუკეთესო დრო, როცა აბანოში ასე თუ ისე ნორმალური ვითარებაა, დილაა. წინა ღამის დალაგებულ-დასუფთავებული აბანო, არანაირი ორთქლი და თუ დილით აბანოში შესვლა მოასწარი, ბედნიერებაა. აი, როცა ზონაზე რამდენიმე დღე წყალი არ არის (ერთობოდა ხოლმე ამით წინა ხელისუფლების ადმინისტრაცია), ნამდვილი ჯოჯოხეთი იწყება. სამი ათასამდე პატიმარს სურს ბანაობა და სულ რაღაც 24 საშხაპეა. ასე იყო მაშინაც, 2011 წლის აგვისტოში, როცა ზონაზე წყალი ხუთი დღით გამორთეს და მთელი დაწესებულება ოფლის სუნად ყარდა. შემდეგ წყალი მოვიდა და...

„რა გინდა ამ დილაუთენია, რას დაგვადექი?!“ — ღიმილით უთხრა ზონის მაყურებელმა პატიმარ №0578-ს, რომელსაც ერთ ხელში პირსახოცი ეჭირა, მეორეში შამპუნი და საპონი.

„რა მინდა და შენი ავტოგრაფი. წყალი მოვიდა, აბანოში ნამდვილი ჯოჯოხეთი ტრიალებს და ზუსტად ვიცი, მაყურებლები რომ შეხვალთ, ერთ „დუშს“ გაგითავისუფლებენ. ჰოდა, იმ „დუშში“ უნდა ვიბანაო მეც და არ დამიწყო ახლა, კაიბიჭების არის ეგ, ძმაო და ჩვენ მაყურებლები ვართო“, — გაუღიმა №0578-მა.

„აჰა... მაინც დაგჭირდა ჩვენი ხელი. არადა, სულ გვეჩხუბები, დიქტატორებს გვეძახი, ჰო, კიდევ იმას, მაცქერლებს, მეჭოგრიტეებს... კარგი ყოფილა? იარე ახლა ჭუჭყიანმა და სუნიანმა“, — გაუღიმა მაყურებელმა.

„ბიჭო, თქვენ, წყალი როცა მოდის, მაშინაც მასე დადიხართ და დიდი რამე, თუ მე ცოტა ხანს ვივლი. მოკლედ, მოგყვებით აბანოში და არ დამიწყოთ ახლა, ჯერ ჩვენ და მერე შენო. ბევრი საქმე მაქვს მე, თქვენსავით კი არ ვკოტრიალობ მთელი დღე, ზონას ვაქცევ ყურადღებას, ძმაო“, — გაეღიმა №0578-ს და მაყურებლებთან ერთად აბანოსკენ წავიდა.

წყლის გადავლება ახალი დაწყებული ჰქონდათ, როცა აბანოში ერთი ვაი-უშველებელი ატყდა. ორთქლში რამის გარჩევა შეუძლებელი იყო, რადგან მოჩხუბრები აშკარად ბოლოსკენ იყვნენ, ახლო-მახლო მდგარი პატიმრები კი ერთმანეთს გაოცებით უყურებდნენ.

„გავდივართ“, — ჩუმად თქვა მაყურებელმა და აბანოდან გასაპნული გავიდა.

„სად გადიხარ, საპნიანი ვარ, წყალი უნდა გადავივლო“, — გაჯიუტდა №0578, მაგრამ მაყურებელმა ხელი მოკიდა და ძალით გაათრია.

„გადაირიე? ასე გასაპნული სად მიდიხარ, გადავივლოთ, წუთი არ გვინდა“, — გაოცდა №0578, მაგრამ მაყურებელს ხელი მაჯაზე მაგრად ეკიდა და არ უშვებდა, თან იმ მხარეს იხედებოდა, საიდანაც ჩხუბის ხმა ისმოდა. ნელ-ნელა ყველაფერი მიწყნარდა, მოჩხუბრებიც გამოვიდნენ ორთქლიდან, ორ კაცს ცხვირ-პირი გაერთიანებული ჰქონდა.

„ახლა წყალს გადავივლებ და მერე ჩემთან ორივე“, — კბილებში გამოსცრა მაყურებელმა და აბანოში შებრუნდა. №0578 უკან გაჰყვა და მაშინვე ჰკითხა: „წეღან რა დაგემართა?!“

„აქ აბანოა, შიშველია ყველა. იმ ჩხუბის დროს ვინმე რომ დაგჯახებოდა, გაკოტრიალებულიყავი, ვინმეს საოხრე შეგხებოდა, დამთავრდა კაიბიჭობაცა და სახელიც. გესმის? ასეთ დროს ყოველთვის გაერიდე. საპონს ნებისმიერ დროს მოიცილებ, აი, ვიღაც თუ შეგეხო ცუდად, მთელი ცხოვრება გაგყვება. გასაგებია?!“ — უთხრა მაყურებელმა და №0578-მაც უხმოდ დაუქნია თავი.

ნახევარი საათის შემდეგ მაყურებელი მოჩხუბრებს თავის საკანში ელოდა, როცა უთხრეს, იმათმა აბანოს მერე კიდევ იჩხუბესო.

„რაა? მაგათ აქ რინგი ხომ არ ჰგონიათ? ორივე უნდა დავლენო, მომითრიეთ აქ. როგორც ჩანს, არაფრად მაგდებენ და ავუხსნი ვინ არის ზონის მაყურებელი“, — ბოლო ხმაზე ღრიალებდა მაყურებელი.

მოჩხუბრები მალე მოიყვანეს. პატიმარი №0578 ერთს იცნობდა, დათო ზ. მისი მეზობელი იყო, აი, მეორეს კი პირველად ხედავდა და სანამ მაყურებელი ხმას ამოიღებდა, №0578-მა ჰკითხა — „ვინ ხარ შენ?!“, თუმცა მაშინვე ინანა, გაცოფებულმა მაყურებელმა №0578-ს გახედა, უხმოდ ანიშნა, ხმა არ გაიღოო და მოჩხუბრებს მიუბრუნდა.

„მე თქვენი დედები... აბანოში იჩხუბეთ და ხმა არ ამოვიღე, აქ დაგიბარეთ, ვიფიქრე, სერიოზული მიზეზი ჰქონდათ-თქო. მერე აბანოდან გამოსულებს კიდევ გიჩხუბიათ. მე აქ მაყურებელი ვარ თუ ვიღაც „კაზიოლი“, არაფრად რომ არ მაგდებთ? ახლა მოჰყევით, რა მოხდა და მერე ორივეს დედა უნდა...“, — მაყურებელი აშკარად გაცოფებული იყო.

„არ ვიცი, რა მოხდა. ვბანაობდი, როცა ეს მეცა და ცემა დამიწყო. მერე, როცა გარეთ გამოვედით, კამერაში მივაკითხე, რა გინდოდა მეთქი და იქ ცალკე მეცა. წარმოდგენა არ მაქვს, ვინ არის, რა უნდა... გუშინ მომიყვანეს ღამე ზონაზე, ყველას პირველად ვხედავ და მეც მაინტერესებს, რას მერჩის“, — თქვა ახლადმოსულმა.

„ეს შენი „ბრატია“ არა?!“ — ჰკითხა მაყურებელმა №0578-ს დათოზე.

„მეზობელი... ერთად ვართ გაზრდილები. და მერე რა, რო?“ — თავის მხრივ იკითხა №0578-მა.

„რა და შენი გაბლატავებული იქნება, აბა, რას „ლახმაჩობს“, კაცს პირველად ხედავს და პიტბულივით იწევს“, — ისევ აყვირდა მაყურებელი.

„ჯერ ერთი, ჩემი გაბლატავებული რა შუაშია?! მეორეც, ამას რომ მოუსმინე და გაიძახის, პირველად ვხედავო, ეგებ ეს არ ხედავს პირველად და მიზეზი ჰქონდა, დათოს რატომ არ უსმენ?!“ — არ დაუთმო №0578-მა.

„ჩუმად ზის სირივით და დაკითხვას ხომ არ მოვუწყობ“, — იფეთქა მაყურებელმა. დათომ კი, დაბალ ხმაზე, მაგრამ ძალიან დაძაბულად დაიწყო.

„შენ გემახსოვრება, მეშვიდე კლასში ვიყავით, ჩვენი ოჯახი რომ დააყაჩაღეს“, — თქვა დათომ და გაჩუმდა. №0578 დაიძაბა, ჯერ მაყურებელს გახედა, მერე იმ უცხოს. ახსოვდა რომელია?! მაშინ მთელი ქალაქი მაგაზე საუბრობდა. დათოს ოჯახი დააყაჩაღეს, და გააუპატიურეს, მამა დაჭრეს. დამნაშავეები, რა თქმა უნდა, ვერ დაიჭირეს.

„დაყაჩაღება არ იკმარეს, მამაჩემი დაჭრეს, რომელიც მერე გარდაიცვალა. ჩემი უფროსი და გააუპატიურეს. ჰოდა, მაშინ ვთქვი, ადრე თუ გვიან ვიპოვი-მეთქი იმას, ვინც ჩემი და გააუპატიურა და აი, ვიპოვე. ეს არის ის კაცი, ვისაც მთელი ცხოვრება ვეძებდი და რაც გინდათ ის მიქენით, მაგრამ რამდენჯერაც ვნახავ, იმდენჯერ ვცემ“, — თქვა დათომ და გაჩუმდა, მერე წამოხტა და ახლადმოყვანილს წიხლი ჩააზილა. ამაზე მაყურებელი აფეთქდა, მაგრამ ხმაზე ეტყობოდა, ისე ვეღარ ყვიროდა, როგორც თავიდან.

„რაა?! ვინ გავაუპატიურე? როდის? პირველად ვხედავ ამას“, — თავის მხრივ აყვირდა ახლადმოყვანილი, რომელსაც ვაჟა ერქვა. როგორც იქნა, მოჩხუბრები გააშველეს, შორიშორს დასვეს და მაყურებელმა ისევ იკითხა: „რით დაამტკიცებ, რომ სწორედ ამან დაგაყაჩაღათ და რაც მთავარია, შენი და სწორედ ამან გააუპატიურა? უნიღბოდ იყვნენ?!“

„არა, ნიღბით“, — თქვა დათომ და №0578-მა იგრძნო, შვებით როგორ ამოისუნთქა ვაჟამ.

„თუ ნიღბით იყვნენ, როგორ ამტკიცებ, რომ ეს არის. თან, ოცი წელი მაინც იქნება გასული იმ ამბიდან და დავიჯერო, ასე კარგად დაიმახსოვრე სხეულის მოხაზულობა, რომ ხელს ადებ?!“ — გაუკვირდა მაყურებელს.

„სხეულის მოხაზულობა არა, ჩემი დის გაუპატიურებას მაყურებინეს. ეს საქონელი იყო. მარჯვენა ბარძაყზე განივი იარა ჰქონდა და რაც მთავარია, წვივზე თავის ქალაში ჩარჭობილი დანა ახატია“, — დააკონკრეტა დათომ.

„მოიცა, ეგ მტკიცებულება არ არის. წადით, გოშა მოიყვანეთ“, — ბრძანება გასცა მაყურებელმა და პატიმარი, მეტსახელად გოშა ორ წუთში საკანში იყო. მაყურებელმა შარვლის ტოტის აწევა უბრძანა და გოშას წვივზე თავის ქალაში ჩარჭობილი დანა გამოჩნდა.

„ახლა ხვდები, რას გეუბნები?! ეგ მტკიცებულება არ არის-მეთქი. ასე შეიძლება ას კაცს ეხატოს და გაუპატიურების დაბრალება არ შეიძლება“, — მშვიდად თქვა მაყურებელმა. №0578-ს მოეჩვენა, რომ ვაჟამ შვებით მეორედ ამოისუნთქა.

„ვიცი, სხვებზეც მინახავს, მარტო ამ ზონაზე, გოშას გარდა, კიდევ ოთხს აქვს ეგ სვირინგი. მაგრამ ამისი სპეციფიკურია. ტარზე ინგლისური ასოებით ვაჟა აწერია და თავის ქალას თვალების ადგილზე ჯვრები აქვს. ხვდები ხომ, რას ვგულისხმობ? მე მაშინ, ბავშვობაში, ზუსტად ვიცოდი, რომ იმას, ვინც ჩემი და გააუპატიურა, ვაჟა ერქვა, მაგრამ მაშინ არც პოლიციამ მომისმინა და არც სხვა ვინმემ. ჰოდა, ვეძებდი, ვეძებდი... ვინმეზე რომ გავიგებდი, ვაჟა ჰქვიაო, ვთხოვდი, წვივი ენახვებინა. ჰოდა, ვიპოვე, აქ ვიპოვე“, — ჩუმად თქვა დათომ.

მაყურებელი ვაჟას მიუბრუნდა, რომელსაც ფერი აღარ ედო, მაგრამ მაინც გადაწყვიტა თავისმართლება.

„შეიძლება, მილიონი ვაჟა იყოს, რომელსაც ასევე აწერია და ასეთივე იარა აქვს“, — განწირული ხმით თქვა ვაჟამ.

„შენ მე პროკურორი ხომ არ გგონივარ, ზღაპრებს რომ მიყვები? იარა დაემთხვა, წარწერა დაემთხვა, სვირინგი დაემთხვა... ახლა იმას თუ არ ახსნი, რატომ გააუპატიურეთ ის გოგო, „საქათმის პასაჟირი“ ხარ“, — მაყურებელი აღარ ხუმრობდა.

ვაჟამ თავი ვერაფრით იმართლა, მხოლოდ იმას ამბობდა, მე არ ვყოფილვარ, გეშლებითო, მაგრამ არავინ დაუჯერა და საღამოს უკვე საქათმეში იყო.

„ახლა სად არის მაგის და?!“ — მეორე დილით ჰკითხა მაყურებელმა №0578-ს.

„საბერძნეთში წავიდა, გათხოვდა და სამ შვილს უზრდის ვიღაც ბერძენს“, — უპასუხა №0578-მა.

ვერსიანიუსი

საქართველოს შსს-სა და თურქეთის ეროვნული პოლიციის წარმომადგენელთა ერთობლივი კომისიის მე-6 სხდომა გაიმართა

შინაგან საქმეთა სამინისტროში, „საქართველოს მთავრობასა და თურქეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის შესახებ“ 1994 წლის შეთანხმებით გათვალისწინებული თანამშრომლობის ფარგლებში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და თურქეთის რესპუბლიკის ეროვნული პოლიციის წარმომადგენელთა ერთობლივი კომისიის მე-6 სხდომა გაიმართა. შეხვედრას საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის დირექტორი შალვა კვინიხიძე, ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის დირექტორი ივანე პაპიაშვილი, საქართველოში ინტერპოლის ეროვნული ცენტრალური ბიუროს უფროსი ალექსანდრე არაყიშვილი, კონტრტერორისტული ცენტრის დირექტორი ირაკლი ჩიმაკაძე და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

სხდომაზე მხარეებმა ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის, ტრეფიკინგის, ტერორიზმის და ორგანიზებული დანაშაულის სხვა სახეების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხები განიხილეს. ასევე ისაუბრეს ამ კუთხით არსებული თანამშრომლობის, გამოწვევების და სასაზღვრო სფეროში თანამშრომლობის შესახებ. შეხვედრის დასასრულს, მხარეებმა ხელი მოაწერეს სხდომის ოქმს, რომელშიც სამომავლო თანამშრომლობის გეგმები განისაზღვრა. აღსანიშნავია, რომ მსგავსი ფორმატის შეხვედრები ერთი წლის განმავლობაში წამოჭრილი საკითხების გადაჭრის ეფექტურ მექანიზმს წარმოადგენს. ერთობლივი კომისიის შეხვედრები მონაცვლეობით, რეგულარულად იმართება საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკაში.

შსს-ს ანტიკორუფციულმა სააგენტომ ქრთამის აღებაში დახმარების ფაქტზე ერთი პირი დააკავა

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ქრთამის აღებაში დახმარების ფაქტზე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ყოფილი თანამშრომელი ესე ს. დააკავეს. გამოძიებამ დაადგინა, რომ ესე ს. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებლის ერთ-ერთი მოადგილის სახელით, მოქალაქეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 402 კვ.მ მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემაში დახმარებას დაპირდა, რის სანაცვლოდაც, ქრთამის სახით მოითხოვა და აიღო 3000 ლარი. გამოძიება ქრთამის აღებაში დახმარების ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 25-338-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, რაც 6-დან 9 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს). გამოძიებას საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ანტიკორუფციული სააგენტო აწარმოებს.

„ვერსიანიუსი“

სუდოკუ

ადვილი

1					2	5	4	
3					4			
	5	2	3					7
	4			7				
	8		4		9		1	
				1			8	
8					7	2	3	
			9					1
	3	7	5					4

სტანდარტი

2	7					5		
		3		1	8			
9			5				2	
4		1						5
	5			3			4	
7						1		2
	2				4			1
			1	9		2		
		5					8	9

რთული

2			8		1	9		
7								5
9	8					2		
6	1			4	7			
	3						4	
			3	6			9	7
		2					1	3
3								9
		5	9		3			2

ექსპერტი

		4	7			9		
						6		2
	6	5		9			7	4
	9		8	7				
8	7			4			1	9
				1	3		6	
6	2			3		7	4	
7		9						
		8			7	2		

მაისურები მზის ელემენტებზე

ჰოლანდიელმა დიზაინერმა პაულინა ვან დონგენმა შექმნა მაისური Solar Shirt, რომელიც მზის პანელებითაა აღჭურვილი და შეუცვლელი ნივთი იქნება ელექტროენერგიის დეფიციტის დროს. უნდა აღინიშნოს, რომ ფოტოელემენტები, რომელიც მუქი ფერის მაისურზეა დატანილი, უფრო მოხატულობას ჰგავს, ვიდრე მზის პანელებს. 120 მოქნილი ფირფიტით აღჭურვილ მაისურს შეუძლია დაახლოებით 1ვტ. ელექტროენერგიის გამომუშავება, რაც სავსებით საკმარისია მობილური ტელეფონის, პლანშეტის, კამერის, ფლეერის დასატენად. სმარტოფნის სრულად დატენვისთვის კი რამდენიმე საათია საჭირო. გამოგონების ავტორის თქმით, მაისურთან მოწყობილობების მიერთება USB-პორტის მეშვეობით ხდება. ტანსაცმელში ასევე ჩამონტაჟებულია აკუმულატორი ელექტროენერგიის დასაგროვებლად. მზის პანელებიანი მაისური ბაზარზე გასაყიდად, სავარაუდოდ, 3-4 თვეში გამოვა.

ნაოჭებით კაცის ხასიათის ამოიცნობთ

სახეზე ნაოჭები ადამიანს მხოლოდ ასაკში არ უჩნდება და ახალგაზრდებსაც აქვთ. ფსიქოლოგები გვარწმუნებენ, რომ ისინი პიროვნებაზე საკმაოდ ბევრს მეტყველებენ. ჰორიზონტალური ნაოჭები — თუ მამაკაცს შუბლზე 1-3 სნორი და უწყვეტი ნაოჭი აქვს, იმაზე მიუთიტებს, რომ ძლიერი, ენერგიული, განონასწორებული და ჰარმონიული პიროვნებაა, მდგომარეობიდან ძნელად თუ გამოიყვან და მასთან ჩხუბიც შეუძლებელია. სამზე მეტი ნაოჭი კაცის უფრო მტკიცე ხასიათის მანიშნებელია, ის საკმაოდ გულღიაა და არც ექსპერიმენტების ეშინია, განსაკუთებით სიყვარულში.

თუ მამაკაცს შუბლზე ტალღისებური ან წყვეტილი ნაოჭები აქვს, შესაძლოა, ძალიან ზედაპირული ადამიანი აღმოჩნდეს, ცხოვრებაში ყველაზე მეტად საკუთარი თავი აინტერესებს. თუ ამ ტიპის ნაოჭები შუბლის ზედა ნაწილში აქვს, იმის მანიშნებელია, რომ მისი მდგომარეობიდან გამოყვანა ადვილია. ნაოჭების არქონა კი მამაკაცის გულგრილობაზე მეტყველებს.

ვერტიკალური ნაოჭები — მამაკაცი, რომელსაც შუბლზე ღრმა ვერტიკალური ნაოჭები აქვს, მხოლოდ იმას ამჩნევს, რაც თვითონ უნდა. დანარჩენს გვერდს უვლის და თავის აზრს ჯიუტად იცავს. ორი-სამი ასეთი ნაოჭი იმ კაცებისთვისაა დამახასიათებელი, რომლებიც ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას ბევრს არ ფიქრობენ და ფეთქებადები არიან.

ცხვირ-ტუჩის მიდამოში არსებული ნაოჭები იმაზე მიანიშნებს, რომ ასეთი მამაკაცი საკმაოდ მგრძნობიარეა. ისინი ძალიან სერიოზულები და კეთილგანწყობილები არიან, თუმცა, შესაძლოა, ასეთი ნაოჭები ნერვიულ ხასიათზეც მიანიშნებდეს.

გენეტიკურად „გაკეთილშობილებული" კარტოფილი უფრო სასარგებლოა

მინესოტას უნივრსიტეტისა და ფრანგული კომპანია Cellectis-ის სწავლულებმა მცენარეების გენების რედაქტირების ახალი ტექნოლოგია მოიფიქრეს. ახლა ისინი შექმნიან და ბაზარზე გამოუშვებენ კარტოფილის ახალ ჯიშს Ranger Russet, რომელიც არ შავდება და არ ლპება ყინვაში, შეწვისას კი ნაკლებ კანცეროგენულ აკრილამიდს გამოყოფს. სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ მალე მოდიფიცირებული საკვები პროდუქტის შექმნა არ მხოლოდ მსხვილი სამეცნიერი ინსტიტუტების საქმე იქნება, არამედ პატარა კერძო კომპანიებიც დაკავდებიან. რასაკვირველია, მათი ნამუშევარი აუცილებლად სერტიფიცირებული იქნება და უსაფრთხოებაზეც შემოწმდება. სხვა შემთხვევაში, გამოყვანილი ხილი და ბოსტნეული ბაზარზე ვერ გავა. აქამდე მეცნიერები წლობით მუშაობდნენ, ტრადიციული სელექციის მეთოდით, სასურველი თვისებების მქონე მცენარე რომ გამოეყვანათ. მაგალითად, ასეთი კარტოფილისთვის, რომელიც ამერიკელმა გენეტიკოსებმა შექმნეს, სელექციონერებს 10 წელიწადზე ნაკლები არ დასჭირდებოდათ. ახალი კარტოფილის პირველ მოსავალს უკვ წლის ბოლოს აიღებენ მინესოტაში. თუკი ექსპერიმენტების შედეგად დამტკიცდა, რომ პროდუქტი ინარჩუნებს თვისებებს სიცივეშიც, Ranger Russet-ის ფერმერებისთვის მიწოდებას დაიწყებენ.

წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

ადვილი

5	8	3	7	2	6	1	9	4
4	7	1	3	9	8	6	2	5
9	6	2	5	4	1	3	8	7
2	4	6	1	7	9	8	5	3
7	5	8	6	3	4	2	1	9
3	1	9	2	8	5	4	7	6
1	3	5	9	6	2	7	4	8
8	9	7	4	1	3	5	6	2
6	2	4	8	5	7	9	3	1

სტანდარტი

1	7	9	6	3	2	5	8	4
8	4	5	1	9	7	3	2	6
3	6	2	8	5	4	1	9	7
2	5	7	4	1	6	9	3	8
9	8	6	3	2	5	7	4	1
4	1	3	7	8	9	6	5	2
7	2	4	5	6	3	8	1	9
6	3	1	9	4	8	2	7	5
5	9	8	2	7	1	4	6	3

რთული

7	3	4	2	8	6	5	1	9
1	2	9	7	5	4	6	3	8
8	6	5	3	1	9	7	4	2
6	8	7	1	9	5	4	2	3
9	5	3	4	6	2	1	8	7
2	4	1	8	7	3	9	6	5
5	1	6	9	2	8	3	7	4
4	9	8	6	3	7	2	5	1
3	7	2	5	4	1	8	9	6

ექსპერტი

6	1	8	9	7	5	4	3	2
3	9	2	1	4	8	7	6	5
7	5	4	6	3	2	1	9	8
9	8	1	7	6	4	2	5	3
2	7	6	8	5	3	9	1	4
5	4	3	2	9	1	8	7	6
8	6	9	5	2	7	3	4	1
1	3	5	4	8	9	6	2	7
4	2	7	3	1	6	5	8	9

მე-10 გვერდი: 1. ბანჯული; 2. ამაო; 3. ჯოჯოხეთი; 4. ლორნეტი; 5. ვილნიუსი; 6. იდები; 7. ნელსონი; 8. უტოპია; 9. ფანჯარა; 10. ისარი; 11. ირაო; 12. შეიხი; 13. ბერლიოზი; 14. მირკანი; 15. ნუარე; 16. არინა; 17. მიომა; 18. ჩიხი; 19. ტრესტი; 20. სიმონია; 21. „მარიო"; 22. სიათა; 23. ოუენი; 24. ვივიპარია; 25. „ოლივიე"; 26. ბრაუნი; 27. სიუ; 28. ვენახი; 29. ვისკი; 30. პაიკი; 31. რონა; 32. ელე; 33. ურნა; 34. გურუ; 35. ენოტი; 36. აკელა; 37. ადესა; 38. „ავეო"; 39. ორმო; 40. გუი; 41. უეფა; 42. ნისლი; 43. შუ; 44. კარანი; 45. დავარი; 46. ხაიში; 47. ნაზიბროლა; 48. კანა; 49. ბირი; 50. ზილი; 51. ქიმი; 52. ოცი; 53. ანი; 54. სტეინიცი; 55. ვერნი; 56. ფა; 57. მზე; 58. რქა; 59. მურილიო; 60. მარულა; 61. დელფინი; 62. ოინა.

მე-12 გვერდი: 1. წყნეთი; 2. ყიშლაღი; 3. ეტალონი; 4. საკურა; 5. ალგებრა; 6. უფიცი; 7. იშიასი; 8. ნომოკანონი; 9. ადონაი; 10. ეგრისი; 11. საირმე; 12. ღონე; 13. ალიზი; 15. ერე; 16. საირა; 17. აკაპელა; 18. კოკი; 19. ბრედ; 20. გრიმი; 21. აზოტი; 22. ლაბადა; 23. ლარი; 24. ინო; 25. ომი; 26. „გზა"; 27. აგატა კრისტი; 28. ოფორტი; 29. მანდრაგორა; 30. პინა; 31. აპალაჩები; 32. გურუ; 33. ზიზუ; 34. ტივი; 35. ინიციატივა; 36. რა; 37. ოპიზა; 38. ფაუ; 39. გალილეი; 40. ეოსი; 41. როვნო; 42. ბარიტონი; 43. ადრიანო;'44. დნეპრი; 45. ავარა; 46. აუტი; 47. ლენა; 48. დალი; 49. სკა; 50. ცინი; 51. სონა; 52. ალინა; 53. ლა; 54. რუანდა; 55. სალსა; 56. მერჩულე; 57. იეტი; 58. ბარელი; 59. ანი; 60. ვადუცი; 61. ანაბარი; 62. რენა; 63. სკოპიე; 64. ბაბილონი; 65. ტამტამი; 66. ლიმიტი; 67. ცდო; 68. ბომბეი; 69. მირდატი; 70. რიო; 71. მარინისტი; 72. ინია; 73. ცა; 74. სიომა; 75. ტარა; 76. მაცა; 77. ადიდა; 78. ცური; 79. აბვერი; 80. სარმა; 81. აფრა; 82. ლამა; 83. ჩირი; 84. ფოსტალა.

1. ატმოს-ფეროს ზედა ნაწილი
2. (მოძვ.) მეკობრე, პირატი
3. მიხვედრა, შორსმჭვრეტ-ველობა
4. მდინარე გურიის მხარეში
5. ტაილანდის ძველი სახელ-წოდება
6. მოსკოვის ტელეანძა
7. ფუ-ფუნებით განებივრებუ-ლი ადამიანი
8. ავტო-მატური ელექტრო-ხელსაწყო
9. საგაზეთო წერილი
10. წინასწარი განცხადება
11. მდინარის კლდოვანი ციცაბო ნაპირი
12. რისამე ცხრილი, ნუსხა
13. გარეული ვირი
14. რვა მუსიკოსისგან შედგენილი ანსამბლი
15. ამერიკელთა მეტსახელი
16. ცხოველის სხეულის ცხიმი
17. გერმანული ავტომშენებ-ლობის პიონერი
18. მსახიობი რობერტ დე ...
19. ამა თუ იმ ადგილის ადგილობრივი, მკვიდრი მოსახლეობა
20. მუშაობის საზომი ერთეული
21. ხის ჩასა-ბერი საკრავი
22. ზოოლო-გიის ნაწილი, სწავლობს ძუძუმწოვრებს
23. აშშ-ის შტატი
24. სალამუ-რას მეგობარი გოგონა
25. ბიბლი-ური იაკობის ერთადერთი ასული
26. ღმერ-თების დედა ძველ ინდურ რელიგიაში
27. ქართველი მწერალი და კინო-რეჟისორი
28. ბელ-გიის სიდიდით მეორე ქალაქი
29. ყველაზე დიდი ქვე-წარმავალი
30. კინოს მამამთავარი ძმები
31. მეფე გიორგი XIII-ის მეტსახელი
32. სირ-აქლემას მსგავსი ფრინველი
33. ფართობის ერთეული, ჰექტრის მესამედი
34. გამოუწ-ვავი აგური
35. თანამე-დროვე მუსი-კის ყანრი
36. მხრებზე დასადგმელი ტახტრევანი
37. რომის პაპის გვირ-გვინი
38. ენა-ჩლუნგი
39. დაბადების მოწმობა
40. ძვ. სიგ-რძის საზომი ერთეული
41. მედიცინის მუშაკი
42. იგივეა, რაც საფლავი
43. წესრიგის ღმერთი ეგვიპტურ მითოლოგიაში
44. საშობაო სიმღერა
45. სანელე-ბელი
46. ესპანელი ხალხის გმირი
47. უცხიმო ხორცი
48. მდინარე რუსეთში
49. წვრილი ქვიშა
50. ნესვის ხე
51. ტაძარი ქუთაისში
52. მელა „ოქროს გასაღებში“
53. ინდოეთის საკურორტო შტატი
54. სომხური ვვარების წინსართი
55. იგივეა, რაც გაზი
56. უმცირესი ორნიშნა რიცხვი
57. იაპონელი ნობელიანტი მწერალი
58. უხეირო, არაპროფე-სიონალი ხელოსანი
59. დედამიწის თანამგზავრი
60. მეფე ლო-მის სახელი (მულტფ.)
61. ვარდნის ქალიშვილი „უდიპლომო სასიძოში“
62. თევზის ძვალი
63. არჩილის კნინობითი ვარიანტი
64. ბალახოვანი მცენარე მარცვლოვანთა ოჯახიდან
65. სპორ-ტული ნავის სახეობა
66. იტალ-იელი დრამა-ტურგი
67. „ჩიხოლი“ ქართულად
68. ნორვეგიის დედაქალაქი
69. ყანის დედოფლად წოდებული მცენარე
70. გასეირ-ნება ბავშვის ენაზე
71. წყალი ლათინურად
72. სტალონეს შინაურული სახელი
73. სასოფ-ლო-სამეურ-ნეო რეგიონი სამხრეთ იტალიაში
74. ბიბლიური წინასწარ-მეტყველი
75. ქალაქი რაჭაში
76. რუსული ესტრადის პრიმადონა
77. ფაშისტების თანამშრომელი ადგილობრივი მცხოვრები
78. ზევსის სატრფო, რომელიც ჰერამ ძროხად გადააქცია
79. ინგლი-სური ლუდი
80. ერთი ხელობის ადამიან-თა გაერთიანება, ამხანაგობა
81. ბერძნული ანბანის ბოლო ასო
82. ბერძნული მითოლოგიის პერსონაჟი ქალი
83. გაზაფხუ-ლის ყვავილი
84. კანფეტი ბავშვის ენაზე

დაღლილობას ვირუსი იწვევს

ადამიანის დაღლილობა, შესაძლოა, ვირუსით იყოს გამოწვეული, — აცხადებენ ამერიკელი სწავლულები უაიტ-პეტერსონის სამეცნიერო ინსტიტუტიდან. ჩატარებული კვლევებით დადგინდა, რომ ის ადამიანებს, რომლებიც ქრონიკული დაღლილობით იტანჯებიან, სისხლში ვირუსი აქვთ, სახელწოდებით XNRY. ეს ვირუსი ცხოველური წარმოშობისაა და უნარი აქვს, იცხოვროს ადამიანის ორგანიზმშიც. როგორც კვლევებით აღმოჩნდა, ვირუსი იმ პაციენტთა 67%-ში არსებობს, ვინც მუდმივად ფსიქოლოგიურ დაღლილობას უჩივის. დადგინდა ისიც, რომ ის მნიშვნელოვნად ასუსტებს ადამიანის იმუნურ სისტემას. ამერიკელი სწავლულების ამოჩენის შედეგად, მედიკოსები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ დაღლილობა შეიძლება ავადმყოფობად ჩაითვალოს და ასეთ ადამიანს მკურნალობის კურსიც დაენიშნოს. როგორც ცნობილია, დღეისთვის ქრონიკული დაღლილობის სინდრომით მსოფლიოში 17 მილიონი ადამიანი იტანჯება.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
გიორგი იაშვილი, მარიკა ლომიძე, ნინი ჯაფარიძე.
სტილისტი – ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.